საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ეული სიფცეა, ფეფიოებით და ჭოჭებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 7 ივნისი. 2016 წ. №103 (7995), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

სვანეთში ინვესტორებს მოკვლით ემუქრებიან!

სამწუხარო ინფორმაციით, სვანეთში მომუშავე ამერიკულ კომპანიას საქმიანობაში პრობლემები ექმნება.

„სვანეთი ჩვენია და აქ არავის შემოვუშვებთ!“ — ასეთი მოტივით მსხვილი ამერიკელი ინვესტორი „ოპტიკალ სისტემსი“ სვანეთიდან გამოაგდეს, ყველაფერი გაუნადგურეს და მოკვლითაც ემუქრებიან.

ოქროს შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის ოფიციალური მფლობელი კომპანიის წარმომადგენლები 2 კვირაზე მეტია, სვანეთში ვერ ადიან. 2 კვირის წინათ კი გარკვეულმა ჯგუფმა მათი საველე ბანაკი დაარბია და ყველაფერი გაუნადგურა. მომხდარის, მიყენებული ზარალის და შემდგომი საფრთხის გამო ინვესტორმა შესაძლოა, საქართველო დატოვოს.

„გარკვეულმა ორგანიზებულმა ჯგუფმა, რომლებსაც, როგორც ჩანს, გავლენიანი მფარველები ჰყავს, ტერიტორიაზე ყველაფერი დაარბია და გაანადგურა. ამ პირებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს უცხოელ ექსპერტებს, რომლებიც ადგილზე მუშობდნენ, დაარბიეს კომპანიის საველე ბანაკი და დააზიანეს ტექნიკის ის ნაწილი, რომელიც საკმაოდ ძვირად ღირებულია. ასევე გაანადგურეს მოპოვებული მასალები. ვითხოვთ სახელმწიფოს დახმარებას, რომ მუშაობის გაგრძელება შევძლოთ. ადგილზე მხოლოდ საძიებო სამუშაოები მიმდინარეობდა, თუმცა კვლევების შედეგად, შესაძლოა, ინვესტორისთვის ტერიტორია საინტერესო გამხდარიყო. 2 კვირა გავიდა და არავინ დასჯილა, შესაბამისად, სვანეთში ასვლას ვერც ვახერხებთ“, — აცხადებს კომპანიის იურიდიული კონსულტანტი ირაკლი გვილია.

სვანეთის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც სვანეთში ინვესტორის შესვლას ეწინააღმდეგება, აცხადებს, რომ ისინი ინვესტორს არ შეუშვებენ: **„დავიფიცეთ, რომ აქ არავის შემოვუშვებთ და არ ვამუშავებთ. თუ საჭირო გახდა, 10 ადამიანსაც ვიმსხვერპლებთ. თუ შხამ-ქიმიკატებით დაიწყეს რეცხვა, ეგ ზიანია და მთელი სვანეთი ფეხზე დადგება. მთელმა სვანეთმა დაიფიცა, რომ მათი შემომშვები არავინაა. სვანეთი ჩვენია“.**

დაპირისპირებაში არ ერევა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი კაპიტონ ჟორჟოლიანი, რომელიც აცხადებს, რომ ლიცენზია მას არ გაუცია და ვინც გასცა, იმან მიხედოს. მისივე თქმით, ის მოსახლეობის წინააღმდეგ ვერ წავა.

კომპანია კი სახელმწიფოს რეაგირებას ელოდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იძულებული გახდება, ქვეყანა დატოვოს და 10-მილიონიანი ინვესტიცია შეაჩეროს.

რაც შეეხება ინვესტიციის მოცულობას, კომპანიის ინფორმაციით 10 მილიონ ლარზე იყო საუბარი, რომლის 10% ადგილზე, ქველმოქმედებისთვის უნდა დახარჯულიყო. გარდა ამისა, საწყის ეტაპზე 98 ადგილობრივი მცხოვრები საქმდებოდა. ასევე ხდებოდა ადგილობრივი კადრის გადამზადება, რომლებიც უცხოელ სპეციალისტებს ჩაანაცვლებდნენ....

* * *

ეს ის შემთხვევაა, როცა სახელმწიფო დაუყოვნებლივ უნდა ჩაერიოს ინვესტორსა და ამაყ სვანებს შორის „საერთაშორისო“, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში. ბოლოს და ბოლოს, სირცხვილია, კალენდარზე XXI საუკუნეა და სვანების სამშობლო დასავლეთისკენ მიისწრაფვის!

ვინ ვის აწვება... ხელისუფლება – „ცრუსთავს“, თუ „ცრუსთავი“ – ხელისუფლებას?! 5

„პანორამა თბილისი“ გარემოსა და არქიტექტურის სიმბიოზის საუკეთესო მაგალითია! 3

რატომ „ჩაქინა“ საპატრულო პოლიციას? 11

მუნიციპალები გარეუბნებისკენ გადაინაცვლებენ 6

სასტუმროების სიმკვრივით საქართველო რეგიონის ლიდერია 4

დაუვიწყარის არდავიწყება

ქუთაისში, საფიჩხიაზე, საუკუნის წინანდელ დიდებულ, მაგრამ დღემდე დავიწყებულ ნაფუძარზე კულტურის ახალი, თანაც კეთილმოწყობილი კერა გაიხსნა 7



მაიკლ ესპი: არსად მინახავს ასეთი დინამიკური, თბილი, პროგრესირებადი და წარმატებებით სავსე ადგილი, როგორიც საქართველოა

CNFA-ს საქართველოში საქმიანობის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ კონფერენციას CNFA-ს დირექტორთა საბჭოს წევრი და აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ყოფილი მდივანი მაიკლ ესპი დაესწრო.

„მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში, მდივნის უფლებამოსილების განხორციელებისას, მქონდა პატივი, ჩემი ხელისუფლების სახელით მიმეღო მონაწილეობა GATT-ის ფარგლებში ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში. თუმცა, არსად მინახავს ასეთი დინამიკური, თბილი, პროგრესირებადი და წარმატებებით სავსე ადგილი, როგორიც საქართველოა,“ — განაცხადა მაიკლ ესპიმ.

მისივე თქმით, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს განვითარების თანმიმდევრული გეგმა გააცნო.

„ამ ადამიანს შესანიშნავი ხედვა აქვს. ჩვენ არ ვართ პოლიტიკური ორგანიზაცია, ამდენად, ჩემი დირექტორთა საბჭოს წევრობის მიუხედავად, მე მსურს, ოქტომბერში დაგეგმილ არჩევნებში წარმატება ვუსურვო მას,“ — ამბობს CNFA-ს დირექტორთა საბჭოს წევრი და აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ყოფილი მდივანი მაიკლ ესპიმ.

CNFA-ს საქართველოში საქმიანობის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიის მისიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ტომას მორისი, CNFA-ს დირექტორთა საბჭოს წევრი და საქართველოს სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი დავით კირვალიძე, CNFA-ს ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ჯონ კოსტელო.

რას ჩამოიტანს სტრასბურგიდან პრეზიდენტი?

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სტრასბურგში სამუშაო ვიზიტი დაიწყო.

ევროკავშირის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ოფიციოზთან შეხვედრებზე განსახილველ საკითხებს შორისაა საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მინიჭებისა და ვარშავის სამიტისთვის მზადების საკითხები.

როგორც ვიზიტის დაწყების წინ, პრეზიდენტის საერთაშორისო ურთიერთობათა მდივანმა თენგიზ ფხალაძემ განაცხადა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ევროკავშირის წარმომადგენლებთან მუშაობას.

„საქართველოს შესრულებული აქვს ყველა ის მოთხოვნა, რაც გათვალისწინებული იყო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით. განიხილება აღნიშნული საკითხი და ძალიან ახლოს ვართ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან.

გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, ის ფონი და გარემო, რომელიც არსებობს ევროკავშირში – საკუთარი შიდა პრობლემებით, მათ შორის, იგივე დევნილებთან და ლტოლვილებთან დაკავშირებით.

უაღრესად მნიშვნელოვანია ასევე, ჩვენი თანამშრომლობის სხვა პერსპექტივები. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების განხილვას და საქართველოში და ჩვენს რეგიონში შექმნილ უსაფრთხოების გარემოს.

ასევე განხილული იქნება საარჩევნო თემატიკა, არჩევნებისთვის მზადება და ის ნაბიჯები, რამაც საქართველოს ხელი უნდა შეუწყოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში შემდგომი ინტეგრაციისათვის“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტის საერთაშორისო ურთიერთობათა მდივანმა თენგიზ ფხალაძემ.

სტრასბურგში, ქვეყნის პირველი პირი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ტორბიორნ იაგლანდს, ევროპის სახალხო პარტიის ლიდერებს შეხვდა.

სტრასბურგში დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის ორმხრივი შეხვედრები ევროპის პარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცთან, ევროპის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკთან და სოციალ-დემოკრატების ალიანსის ლიდერებთან.

◎ თავისუფალი სიტყვა

მისტერ იან კელ, თქვენს მიკერძოებას საზღვარი არა აქვს!

მივმართავ აშშ-ის საელჩოს ადმინისტრაციას!

მე, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე, რომელიც ჩემი ძვირფასი თანამემამულეების უმრავლესობის მსგავსად რეალურად და ობიექტურად ვაფასებ მოვლენებს, კატეგორიულად მოვითხოვ ახსნა-განმარტებას ჩემს სამშობლოში აკრედიტებულ აშშ-ის სრულუფლებიანი ელჩისგან, რომელმაც აბსოლუტურად არაადეკვატური და ღირსების შემლახავი განცხადება გააკეთა სუვერენული ქვეყნის დამოუკიდებელი სასამართლოს მისამართით. მან რეპლიკის სახით აღნიშნა, რომ თუ „რუსთავი-2“-ის დღევანდელი დირექცია წააგებს პროცესს, ეს არ უნდა მოითმინოს ქართველმა ხალხმა!

ბატონო იან კელ!

მაინტერესებს, რას გვთავაზობთ სერ, ამ ცრუ და ნაციონალების პროპაგანდისტული სპეცსამსახურის – „რუსთავი-2“-ის გამო ნაცებმა სამოქალაქო ომი უნდა წამოიწყონ?

რა იგულისხმება ამ „არ მოთმენაში“?

ან საერთოდ რატომ ახდენთ ზეწოლას დამოუკიდებელ სასამართლოზე თქვენი დირექტივებით?

დემოკრატია კანონის უზენაესობა და სამართლიანობის პრინციპი არ არის?

ამერიკელი ხალხი უცხო ქვეყნის ელჩს ეკითხება ხოლმე რჩევებს დამნაშავე როდის და რისთვის დასაჯოს?

თქვენ ის კაცი არ ხართ, საკაშვილისა და გვარამიას სატელეფონო საუბრის ავთენტურობაში უტიფრული ეჭვი რომ შეიტანეთ, საიდანაც ირკვევა, რომ ეს ორი ბანდიტი, არამზადა პერსონა სახელმწიფო გადატრილებას და შეიარაღებულ ქაოსს გეგმავდა!

არადა, ამ სატელეფონო დიალოგის მონაწილეებს არც უარუყვიათ ზარის ნამდვილობა, მაგრამ თქვენ ხომ ზეობიექტური და ზემიწიერად უმანკო პიროვნული თვისებებისა და სათნო სულის პატრონი ხართ, რის გამოც ყველაში მხოლოდ დადებითს ეძიებთ (ოღონდ ეს „ყველა“ მარტო ნაცებზე ვრცელდება!) და ვერ წარმოგიდგენიათ, რომ თქვენი სანაქებო პროექტი – „დემოკრატიის შუქურა“ რომ ამას იკადრებდა?

თქვენი ანტიქართული მოქმედებით კიდევ უფრო გვაშორებთ დასავლეთისადმი არსებულ უწინდელ სიმპათიებს, მისწრაფებებს, იმედს.

ჩემი აზრით, თქვენ ხართ ფსევდოდიპლომატი, რომელიც ამერიკული ღირებულებების შემარცხვენელი ნიმუშია!

და კიდევ: თქვენ ბრძანეთ, რომ „რუსთავი-2“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს განვითარებაშიო.

დიახ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ნეიროლინგვისტურ ზომბირებაში, აგრესიისა და გაღიზიანების საქმეში, სიცრუის ტირაჟირებასა და ნაცბანდის პროპაგანდაში!..

ის, რომ გვარამია ასეთ უტიფრულ, არაადამიანურ გონორზეა, სწორედ თქვენს მიერ თავს მოხვეული კოჰაბიტაციისა და ამერიკელი ლობისტების წნეხის შედეგია, მისტერ იან კელ!

ძალიან მაინტერესებს, – თქვენ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, დიდი ამერიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბრძანდებით თუ ნაციონალური მოძრაობის მოსყიდული აგენტი?!

გიორგი ტიგინაშვილი,
პუბლიცისტი

პრემიერ-მინისტრი: ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა საქართველო სოფლის მეურნეობის პროდუქტების მსხვილ ექსპორტიორად იქცეს

ჩვენი მთავრობა ყველა ღონეს ხმარობს, რათა სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის მოსახერხებელი გარემო შექმნას და საქართველო სოფლის მეურნეობის პროდუქტების მსხვილ ექსპორტიორად აქციოს, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საერთაშორისო ორგანიზაცია CNFA-ს საქართველოში საქმიანობის 10 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

გიორგი კვირიკაშვილმა საერთაშორისო ორგანიზაციას მადლობა გადაუხადა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და CNFA-ს მიერ განხორციელებული პროექტების მნიშვნელობა შეაფასა. პრემიერ-მინისტრის თქმით, 10 წლის მანძილზე CNFA ქართველ გლეხთათვის არა მარტო პარტნიორი, არამედ მეგობარიც იყო.

მეჭიაური ლევან ვასაძეს თანამშრომლობას სთავაზობს

თამაზ მეჭიაურმა ლევან ვასაძეს თანამშრომლობა და მისი გუნდის წევრობა შესთავაზა – „უარს არ ვიტყვით, თუკი ჩვენთან ითანაშრომლებს. ეროვნულ საკითხებში ჩვენი ხედვები ემთხვევა და მის ფინანსებს სუნი არ ასდის. ახლოს მყოფი ხედვები გვაქვს და მივესალმები, თუკი თანამშრომლობა შედგება“, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა, რომელმაც ახალი პარტიის – „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ პრეზენტაცია გუშინ გამართა. მისი გუნდის წევრები იქნებიან ჯემალ სეფიაშვილი, სანდრო ბრეგაძე, დავით ფაცაცია, ლალი მოროშკინა და ია მეტრეველი.

ბიზნეს და კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა 5,9%-ით გაიზარდა

2016 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, ბიზნეს და კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა 5,9%-ით არის გაზრდილი და აბსოლუტურ მაჩვენებელში 577 ათასი ადამიანი შეადგინა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, დადებითი ტენდენციები შეინიშნება ბიზნეს-სექტორის მთლიანად პროდუქციის გამოშვების მოცულობის ზრდის მიმართულებით.

„2016 წლის პირველ კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 15%-ით არის გაზრდილი ბიზნეს-სექტორში გამოშვება და 6,5 მილიარდ ლარს შეადგენს და 15,4 %-ით არის ბიზნეს-სექტორის ბრუნვის მოცულობა გაზრდილი“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობამ არჩევნებთან დაკავშირებით პრეზიდენტის ახალი განკარგულება მოიწონა

საქართველოს მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის წევრებმა მოიწონეს საქართველოს პრეზიდენტის ახალი განკარგულება „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“.

პრეზიდენტმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების 8 ოქტომბერს გამართვასთან დაკავშირებით ახალი განკარგულება 3 ივნისს გამოსცა.

პრემიერ-მინისტრს კონტრასიგნაციისთვის 10-დღიანი ვადა აქვს. პრემიერის თანხმობის შემდეგ, განკარგულება საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდება და საარჩევნო კამპანია გახსნილად ჩაითვლება.

წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების დღიდან კი ძალაში შედის შეზღუდვები, რაც სახელმწიფო სტრუქტურების და სახელმწიფო მოხელეებისა და თანამდებობის პირების მიმართ არსებობს. როგორც კი არჩევნების დანიშვნის თაობაზე ბრძანებას მოეწერება ხელი, ამოქმედდება აკრძალვები, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების კუთხით არსებობს.

ამასთან, არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა, დაიწყება ის ძირითადი ღონისძიებები, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციებს და კანდიდატებს უკავშირდება.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტსა და პრემიერს შორის უკვე არსებობს წინასწარი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ქვეყანა საარჩევნო კამპანიის რეჟიმში არჩევნებამდე 4 თვით ადრე – 8 ივნისიდან გადავიდეს.

3 ივნისი, 2016

კავშირი თქვენს სამყაროსთან - უკვე 4.5G ქსელით

მაგთიკომი
MAGTICOM

მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ დღეიდან მაგთიკომმა 4.5G (LTE-Advanced) ქსელით ოპერირება დაიწყო.

პირველად საქართველოში, მხოლოდ მაგთი გთავაზობთ 4.5G ქსელს და უსწრაფეს ინტერნეტს.

მაგთიკომის მომხმარებლები დღეიდან თავად გამოცდიან ინტერნეტის მკვეთრად გაზრდილ სიჩქარეს და ხარისხს.

ამას განაპირობებს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა:

● **ამა წლის, 31 მაისს შეძენილი 800 MHz სიხშირეთა სპექტრი, რომლის კომბინაციამ არსებულ 1800 MHz სიხშირულ სპექტრთან (LTE 800 და LTE 1800) მაგთიკომს 4.5G (LTE-Advanced) ქსელის გამართვის შესაძლებლობა მისცა**

● **ქსელში ასობით ახალი საბაზო სადგურის დამატებით, დღეისათვის საბაზო სადგურების ჯამურმა რაოდენობამ 4493 შეადგინა.**

მაგთიკომი ქართულ ბაზარზე, ტრადიციულად, ლიდერობს ინოვაციური უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, საბაზო სადგურების რაოდენობით, რაც განაპირობებს დაფარვის ვრცელ და ინტენსიურ არეალს, სტაბილურად მაღალ ხარისხს და საიმედო ქსელს.

ამას ემსახურება მაგთიკომის 1000-ზე მეტი ინტელექტუალურ-ადამიანური რესურსი, რომელიც თავის საქმეს მაღალი პროფესიონალიზმით და სიყვარულით თქვენთვის აკეთებს.

◎ კომპეტენტური აზრი



„პანორამა თბილისი“ გარემოსა და არქიტექტურის სიმბიოზის საუკეთესო მაგალითია!

ბატონი ბიძინა ივანიშვილი „დაკითხვაზე“

ძვირფასო რედაქცია, დიდი გულისტკივილით მინდა, გამოვეხმაურო 2 ივნისს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და რადიო „თავისუფლების“ ერთობლივი პროექტით გამართულ ინტერვიუს ექს-პრემიერ ბატონ ბიძინა ივანიშვილთან. ჟურნალისტ სალომე ასათიანის კითხვებიდან ზოგიერთი არქიტექტურასაც შეეხებოდა.

ინტერვიუმ ერთობ უსიამოვნო შთაბეჭდილება დამიტოვა, რომ არაფერი ვთქვათ ბანალურ, მრავალჯერ პასუხგაცემულ შეკითხვებზე, ინტერვიუ არც კეთილგანწყობილებით და ჟურნალისტური ეთიკით იყო გამორჩეული. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ბატონი ბიძინა დაკითხვაზე იყო მიწვეული და არა ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე სასაუბროდ. ეთიკის „დეტალებზე“ არ ვისაუბრებ, ყველამ ნახა და გაიგონა. ვფიქრობ, საზოგადოებრივ ტელევიზიას მეტი სოლიდურობა მოეთხოვება.

არქიტექტურაზე შეკითხვების ზუსტ შინაარსს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ (4 ივნისი, 2016) დავესესხები. ორივე შეკითხვას პასუხი ჟურნალისტმა თავად გასცა. თურმე კომკავშირის ხეივანზე „საცხოვრებელ სასახლეს“ დაუფარია ნარიყალა. საინტერესოა, რომელი წერტილიდან უყურებდა ჟურნალისტი „სასახლეს“. ის არც ერთი წერტილიდან არ ფარავს ნარიყალას, ასეთი წერტილი ბუნებაში არ არსებობს. თუ ქალბატონი ჟურნალისტი ძალიან ახლოს მივა და შუბლს მიადებს რომელიმე კედელს, მთელი სამყარო დაიფარება. მიმაჩნია, ალბათ კოლეგების უმრავლესობაც დამეთანხმება, რეზიდენცია ნარიყალაზე მოცულობით-სივრცობრივი მასშტაბით და ხასიათით, არქიტექტურულ-მხატვრული სახით, ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მან ახალი მხატვრული „ინტრიგა“ — ინტერესი, ინტონაცია შეიტანა ქალაქის პანორამაში. კომპოზიცია დაშლილია, დანაწევრებული, წრიული ფორმები იწვევენ ასოციაციებს ნარიყალას გოდოლებთან, საინტერესოა რაკურსები, ფრაგმენტები. ავტორიტარიზმის პერიოდში მოღვაწე არცერთ უცხოელ არქიტექტორს ასეთი სიფრთხილე, მოწიწება და რევერანსი არ გამოუჩენია ურბანული გარემოსადმი. მხატვრული მიმართულების — „ჰაი-ტეკი“სადმი, როგორც სტილის მიმართ, დიდი სიმპათიები არა მაქვს, მისი თანდაყოლილი სიცივის გამო, მაგრამ ეს სუბიექტურია და სრულებითაც არ ამცირებს კომპლექსის მნიშვნელობას.

რაც შეეხება მეორე კითხვა-ბრალდებას, აქაც პასუხი-განაჩენი თავად ჟურნალისტმა გამოიტანა. „რატომ უჭერთ მხარს „პანორამა თბილისის“ აგებას, რომელიც ფაქტობრივად მოსპობს ძველ თბილისს?“

მკითხველს უნდა შევახსენო, რომ მე ვესწრებოდი, ამ რამდენიმე წლის წინათ, სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში, „პანორამა თბილისის“ იდეის პრეზენტაციას. ის იყო არა პროექტის პრეზენტაცია, არამედ განზრახულებათა საყოველთაო განხილვა, ვიდეოს თანხლებით. მომხსენებელმა ჩამოთვალა ობიექტების ნუსხა, რომლებიც უნდა გაშენებულიყო „ოთხ კომპლექსში“, რომლებიც ერთმანეთთან საბაგირო გზებით იქნებოდნენ დაკავშირებული. საზოგადოებას დარჩა შთაბეჭდილება, რომ ხდებოდა ქალაქის ისტორიულ ნაწილში აქტიური ჩარევა, რამაც დამსწრეთა უმეტესობის, მათ შორის ჩემი, უკმაყოფილება გამოიწვია, რაც გამოვთქვი კიდევაც პრესაში.

შემდეგ ეტაპზე პროგრამა დაზუსტდა, „სოლოლაკის გაღეგის“ პროექტიც დაკონკრეტდა. **პროფესიული პასუხისმგებლობით ვაცხადებ:** გულუბრყვილობა და აკვიატებულია, რომ „პანორამა თბილისი“, რომლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია „სოლოლაკის გაღეგი“, **„მოსპობს ძველ თბილისს“**. „სოლოლაკის გაღეგის პროექტი ინარჩუნებს გორაკის კონტურს, მასას, იქცევა არქიტექტურულ გორაკად. ტერასების ინტენსიური გამწვანების, გარემოსთან შეხამებული ფერებით, შეიძლება გარემოსა და არქიტექტურის სიმბიოზის საუკეთესო მაგალითად მოგვევლინოს.

ყოველ ახალ შენობას მისეული წესრიგი, ინტონაცია შემოაქვს არსებულ განაშენიანებაში. უმთავრესია, რამდენად კონტექსტური და თავაზიანია ახალი ძველის მიმართ. დარწმუნებული ვარ, იმ ფსიქოლოგიით და პოლიტიკური ინტერესებით, რომელსაც იჩენენ ბატონი ბიძინა ივანიშვილის საქმიანობის მიმართ „პროფესიონალი“ ოპონენტები, დღეს, ვერც ფუნიკულიორს, ვერც მამა დავითის ეკლესიას, ვერც „პრეზიდენტის სასახლეს“ ავაშენებდით. რაღაც არ მახსენდება მიტინგები და პიკეტები, როდესაც შენდებოდა ისტორიულ ბირთვში „კუზიანი ხიდი“, „შანგრილა“, „ბუდა ბარი“, ე.წ. საკონცერტო-საგამოფენო დარბაზები რიყეზე, საცხოვრებელი კოლოსი პირველი სკოლის უკან, როდესაც დღისით, მზისით ხდებოდა სპორტის სასახლის არეალის საცხოვრებელი კორპუსებით ამოყორვა, ანჩისხატის მიმდებარე ტერიტორიის მოცულობით-სივრცობრივი მასშტაბის მკვეთრი ცვლა, თბილისის გუმბათიზაცია.

ცალკე თემაა ბათუმი — უფუნქციო „ბათუმი-ტაუერი“ და „ანბანის კოშკი“, შუშის უსახური სასტუმრო „რედისონი“ და შეკვეთილი, სავალდებულო „ისტორიზმი“ და სხვა. ზოგადად აღვნიშნავ, ყველა აქცია მიმართული ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივების წინააღმდეგ, უკიდურესად პოლიტიზებული და მართულია, თუმცა ერთნიშნად კონტრპროდუქტიული.

ვახტანგ დავითაია,
არქიტექტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

◎ მოქალაქე — იმედგაცრუების ზღვარზე

არა მარტო იმედით, არამედ მოლოდინითაც...

ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა,

ამ წერილის საბაბი გახდა ჯერ ამ რამდენიმე დღის წინათ ბატონ ლევან ვასაძის სიტყვა ფორუმზე, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რამდენადაც მე 85 წლის კაცს, არ მახსოვს არც ერთი გენმდივნის, ცკ-ს მდივნის ან რომელიმე მაღალი წოდების ჩინოვნიკისგან არ გამიგია ასეთი სრულყოფილი, გულახდილი, ანალიტიკური და ყოვლისმომცველი გამოსვლა, სადაც ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული, მათ შორის რუსეთის როლსაც საქართველოს ისტორიაში და ახლა თქვენმა ინტერვიუმ ჟურნალისტ ასათიანთან. მე მოხიბლული დავრჩი ამ გოგონათი, როგორი პრინციპულობით ეძებდა ის თქვენში მისთვის და შესაბამისად ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე პასუხებს, მაგრამ, სამწუხაროდ, რაც მას სურდა, ის ვერ მიიღო.

დავიწყოთ იმით, რომ თქვენი გამოჩენა პოლიტიკაში იყო უდიდესი მოვლენა არა მარტო იმედის თვალსაზრისით, არამედ შემდეგაც ქართველი ხალხის მოლოდინის თვალსაზრისით. თქვენ საქართველო გაანათეთ მზის სადარად, რომელსაც ახლდა ჩრდილი, ბუნებრივია, მზე უჩრდილოდ წარმოუდგენელია, ზოგჯერ ეს ჩრდილი საუკეთესო საფარია მაშინ, როცა მზე ძალზედ მცხუნვარე ხდება, მაგრამ ბატონი ივანიშვილის მზის ფონზე წარმოქმნილი ჩრდილი არის ასეთი შედეგის მომტანი? არა, მთლად ასე არ არის. ჯერ ერთი, დავუბრუნდეთ თავში მოყვანილ ლევან ვასაძის სიტყვას, რომელიც არც ერთმა გაზეთმა არ აიტაცა. არადა, ვასაძის უგულებელყოფა უბრალოდ არ შეიძლებოდა ქვეყნის ინტერესების მატარებელი ხელისუფლებისთვის, რომლის ერთპიროვნული ლიდერი ბრძანდებით თქვენ, ბატონო ბიძინა, მეორეს მხრივ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შუქდება ბატონ პაატა ბურჭულაძის თითქმის არაფრის მთქმელი ხმამაღალი გამოსვლები. არადა, მიუხედავად უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულისა ამ პიროვნების მიმართ, მისი უზადო ნიჭის და მსოფლიო სახელისა, მე მისი მეშინია რამდენადაც, როგორც ვთქვი, ბატონი ბურჭულაძე არაფერს არ ამბობს და ყველაფერს მომავალში გვპირდება იმ ფონზე, რომ არსებობს ეჭვები პაატა ბურჭულაძის სააკაშვილის მიმართ სიმპათიებისა, თუ მეტი არა.

რაც არ უნდა შეგშლოდათ, უდიდესი დანაშაულობის ტოლფასი შეცდომაა სწორედ ეს ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია.

მე არც ახლა მინდა თქვენი კრიტიკა, უბრალოდ, ყურადღება უნდა გავამახვილო იმ მოვლენებზე, რაზედაც საზოგადოებას ნეგატიური პოზიცია გაჩნია და მეც მიმაჩნია, რომ ნეგატივი სამართლიანია, მაგალითად, „პანორამა თბილისი“, „საყდრისის საქმე“ და ერთი ძირი ხის კომიკური ისტორია მაშინ, როცა ხალხი მშიერი გყავთ, ქვეყანა უპატრონოდაა (ამ თემაზე თუ მოისურვებთ პირადად გაგესაუბრებით), ანდა ავიღოთ თუნდაც ეს ყბადაღებული სამართლიანობის აღდგენა, რამაც ტოტალური უკმაყოფილება გამოიწვია სრულიად საქართველოს მოსახლეობაში. ამ ადამიანთა კატეგორიას განვეკუთვნები მეც, ქართლოს ზაქარეიშვილი. არ შეიძლება არ მიცნობდეთ, ჩემი პრობლემებით ჯერ თქვენს სახელზე გამოგზავნილი უამრავი წერილით და მერე მთელი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩემი საგაზეთო მასალებით, თითქმის თვეში ერთხელ, სადაც პირუთვნელად ვამხელდი პრემიერ ღარიბაშვილს და ფინანსთა მინისტრ ხადურს.

მაგალითად, გულწრფელად ღმერთმა შეგარგოთ თქვენი ქონება, რომელიც ბოლო კაპიკამდე დაიბრუნეთ სააკაშვილისგან მიტაცებული (ერთ შემთხვევაში სასამართლოთიც კი), რომელი ქონებაც თქვენთვის ჯიბის ფულია, მე კი, მოხუც კაცს, რომელსაც მოხუცებულობის გარანტად ვასესხე ხელისუფლებას და ეს თანხა სამიათასჯერ ნაკლებია თქვენ თანხაზე იმ პირობებში, რომ ხსენებული თანხა ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასია, თქვენი მინისტრის ხადურის გამო ვერა და ვერ მივიღე, არა და ამის ისტორია საერთოდ კრიმინალურია. ჯერ ერთი, სახელმწიფო კომისიის შექმნის ფაქტი და მერე 12 წლის მანძილზე 12-ჯერ არარსებული სახელმწიფო კომისიის უფლებამოსილების გადავადებით. დამიდეთ ანალოგი ნებისმიერი ქვეყნის ისტორიიდან, რომ სოციალური დატვირთვის კომისიის მუშაობა 12 წელი გადაიდებოდეს და თანაც ამ თანხების გაცემის პრეცედენტი არსებობს. ჯერ ერთი, ჩემ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების დასტურით და მეორეც, არსებობს ეროვნული ბანკისადმი ორგანული კანონის 69-ე მუხლი, სადაც ცალსახად მითითებულია საკრედიტო ხაზით წასული თანხების უპირველესი განაღდება და საბაზრო ოპერაციებისთვის უპირატესი სტატუსი, რისთვისაც ყოველწლიურად გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტში თანხები. მაგალითად, 2016 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია 130 მლნ. ლარი, სად მიდის ეს თანხები — ქვედა დინებით და არა პირდაპირი იმ ვალდებულებების გასანაღდებლად, რისთვისაც მოწოდებულია ეს ორგანული კანონის ინტერპრეტაცია.

რაც არ უნდა შეგშლოდათ, უდიდესი დანაშაულობის ტოლფასი შეცდომაა სწორედ ეს ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია.

იმედი მაქვს, ამ ჩემი განცხადების შემდეგ დამიბრუნებთ ჩემს თანხას ღირსეულად როგორც ეკადრება ბიძინა ივანიშვილს, თანახმა ვარ კომპენსაციაზე, ოღონდ ნუ მეტყვით, რომ თქვენ მთავრობაში არ ბრძანდებით და არ გეხებათ ეს საქმე.

მე მაინც მგონია, რომ ყველაფერი ნეგატივი, რაც დღეს არსებობს, შედეგია იმისა, რომ თქვენ იმ უდიდესი სიკეთის პარალელურად, რაც განახორციელეთ 2012 წლის 1 ოქტომბერს, ნაცისტებთან „ითამაშეთ“ კოჰაბიტაცია, რამაც ამ ფაშისტებს საშუალება მისცა, მთელი ამ ოთხი წლის მანძილზე ემყოფებინეთ შანტაჟსა და საბოტაჟის რეჟიმში. მაინც, რაც არ უნდა შეგშლოდათ, უდიდესი დანაშაულობის ტოლფასი შეცდომაა სწორედ ეს ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია.

და, ბოლოს, თქვენს გუნდს დაამშვენებდა ლევან ვასაძე.

ქართლოს ზაქარეიშვილი

ივანიშვილის ახალი შეთავაზება მედიას

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ეროვნულ მაუწყებლებს მედიასთან შეხვედრის ახალი შეთავაზება დაუგზავნა.

„ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა საქართველოს ეროვნულ მაუწყებლებთან“.

დრო: სამშაბათი, 7 ივნისი, 12.00 სთ.

ადგილი: თბილისი, ოქროყანა, ინოვაციების ქ. 7 „ტექნოპარკი“.

მონაწილეები: „მაესტრო“, „იბერია“, „ტაბულა“, „იმედი“, „ტვ პირველი“, „რუსთავი 2“, „ობიექტივი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „კავკასია“, „GDS“.

ფორმატი: 1.რესპონდენტის შესავალი სიტყვა;2. 10 ტელეარხის წარმომადგენელი რიგრიგობით სვამს კითხვებს, რესპონდენტი პასუხობს. კითხვების თანმიმდევრობას და რეგლამენტს უზრუნველყოფს მოდერატორი.

ხანგრძლივობა: მაქსიმუმ 2 სთ.

მაინც როდის ვივლით ევროპაში უვიზოდ?

ევროკავშირსა **და საქართველოს შორის ვიზალიბერალიზაციის საკითხის მორიგი განხილვა მომავალი კვირისთვისაა დაგეგმილი, მაგრამ როდის გადაწყდება საკითხი, კვლავინდებურად უცნობია.**

ევროკავშირის ქვეყნების ელჩების წინა სხდომაზე გადაწყვეტილება გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო ვერ მიიღეს. ამის მიზეზები გერმანულმა გამოცემა „Die Welt"-მა დაასახელა. იგი წერს, რომ „გერმანიის ხელისუფლებას მიგრაციის რისკებთან ერთად, ქვეყანაში კრიმინალური დაჯგუფებების გააქტიურების ეშინია".

„ამ საკითხზე გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტში გამართულ დახურულ სხდომაზეც ისაუბრა, თუმცა, დეპუტატების ნაწილმა აღნიშნა, რომ პრობლემის საჯაროდ განხილვა საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მინიჭებას საფრთხის ქვეშ დააყენებს. სწორედ ამიტომ გერმანია და საფრანგეთი მუშაობენ მექანიზმზე, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნებისთვის უვიზო რეჟიმის შეჩერებას გულისხმობს. ევროკავშირი მანამდე არ დათანხმდება საქართველოსთვის, უკრაინისთვის, კოსოვოსა და თურქეთისთვის უვიზო რეჟიმის მინიჭებას, ვიდრე ეს მექანიზმი არ ამოქმედდება", — წერს გერმანული გამოცემა.

იმას, რომ საკითხის სწრაფ გადაჭრას არ უნდა ველოდოთ, ლატვიის ელჩი ევროკავშირში **სანიტა პავლიუტა-დესლანდესიც** ადასტურებს და იქვე დასძენს, რომ საქმე თავად ევროკავშირშია და არა საქართველოში: **— ევროკავშირში უვიზო რეჟიმის მინიჭების თემაზე რთული დისკუსია მიმდინარეობს, თუმცა, არა საქართველოს გამო. ყველა ერთმნიშვნელოვნად ვაღიარებთ, რომ საქართველო ერთადერთი კანდიდატია სიაში, რომელიც ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. არსებობს საერთო თანხმობა იმაზე, რომ საქართველომ ყველა პირობა და მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამას ემატება კომისიის მიერ მომზადებული პოზიტიური დასკვნაც, რაც პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა. თუმცა განხილვის თემა — უვიზო რეჟიმი — ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისთვის ძალზე მგრძნობიარე საკითხია. საქმე საზოგადოებრივ აზრშია. მოსახლეობა შეშფოთებულია იმ საკითხებით, რომლებიც მიგრაციის პრობლემას, მესამე ქვეყნებიდან მოქალაქეების ნაკადს უკავშირდება. ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ახლა არჩევნები ახლოვდება და საკითხი კიდევ უფრო მგრძნობიარე ხდება. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო მიიღებს უვიზო რეჟიმს და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს უფრო მალე მოხდება, ვიდრე გვიან. თუმცა, უნდა გვესმოდეს, რომ თანხმობა ყველა ქვეყანამ უნდა განაცხადოს, ამას კი დრო დასჭირდება,** — განაცხადა ელჩმა.

ქართული ოპოზიცია მიიჩნევს, რომ უვიზო რეჟიმის შემოღება შესაძლოა, შიდა მიზეზებმაც გაართულოს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი სერგი კაპანაძის შეფასებით, **პრობლემას ქმნის ის, რომ ცუდი გარემოა შექმნილი მსოფლიოში, არის საემიგრაციო კრიზისი, მაგრამ ყველაზე მთავარი არის ის, რომ დღეს აღარ არის ისეთი ხელსაყრელი მდგომარეობა ჩვენთანაც, რომ მოვახდინოთ საქართველოს ამ ინტერესის ლობირება: გვაქვს პრობლემები, როგორიც არის „რუსთავი-2"-ის საქმე, პოლიტიკური დევნა, კორცხელი და ასე შემდეგ,"** — აცხადებს იგი.

საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების" თავმჯდომარის ირაკლი ჩიქოვანის თქმით კი, არსებობს ძალიან ბევრი გარე ფაქტორი, რომელიც არა მხოლოდ საქართველოზეა დამოკიდებული და ამან შეიძლება, ნეგატიურად იმოქმედოს ვიზალიბერალიზაციის გეგმასთან დაკავშირებით. მაგრამ ვთვლი, რომ აბსოლუტურად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვანახოთ კონსოლიდაცია ქვეყნის შიგნით, რომ ეს გადაწყვეტილება არის უმნიშვნელოვანესი.

თავის მხრივ, ხელისუფლება საკითხის გადაწყვეტას შემოდგომამდე ელოდება. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ დავით ბაქრაძის განცხადებით, ხელისუფლება ამ კუთხით მუშაობას განაგრძობს.

— ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ საკითხი იქნება განხილული ყოველ შემდგომ სხდომაზე და, რა თქმა უნდა, ისე, როგორც ეს ევროკომისიის მიერ იქნა გაცხადებული. ჩვენ ველოდებით, რომ პოზიტიური გადაწყვეტილება სწორედ მათ მიერ განსაზღვრულ პერიოდში იქნება მიღებული, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

ამასთან, დავით ბაქრაძე ევროპის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ამახვილებს ყურადღებას და გასულ კვირას გადაწყვეტილების ვერმიღებას საქართველოს შიდა პოლიტიკურ მოვლენებს არ უკავშირებს.

წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს ჯერ კიდევ იმედი აქვს...

საქართველოსთვის **ვიზალიბერალიზაციის მინიჭების თემას გავლენიანი ბრიტანული სააგენტო „როიტერი" ეხმაურება.**

საქართველოს ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ ევროკავშირში უვიზოდ გადაადგილების რეჟიმის უფლებას მოიპოვებს, განაცხადა ბრიუსელში საქართველოს წარმომადგენელმა **ნატალია საბანაძემ** მას შემდეგ, რაც გერმანიის უარყოფითი პოზიციის შედეგად, თითქოსდა ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესი შეჩერდა.

28 სახელმწიფოსაგან შექმნილი ევროკავშირი, რომელიც ცდილობს, როგორმე მართოს იმიგრაციული ნაკადი, სამმილიონნახევრიანი საქართველოსთვის გამარტივებული რეჟიმის მიცემის საკითხზე უკვე მეორე კვირაა, ვერ შეთანხმებულა. დიპლომატების თქმით, საქართველო უვიზო რეჟიმის მისაღებად ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, მაგრამ ბოლო მომენტში გერმანიამ თავი შეიკავა. მას მხარი დაუჭირეს აგრეთვე საფრანგეთმა და ბელგიამ. ისე გამოდის, რომ საქართველო (და მასთან ერთად უკრაინაც) ევროკავშირის თურქეთთან დამოკიდებულების მძევალი აღმოჩნდა.

ევროკავშირს თურქეთის მიმართ მართლაც ბევრი პრეტენზია აქვს, რადგან ანკარა არ ასრულებს ბრიუსელთან ხელმოწერილი შეთანხმების პირობებს უვიზო რეჟიმის მიღების მიზნით. ცეცხლზე ნავთი დაასხა გერმანიის ბუნდესტაგის მიერ ამ ორიოდე დღის წინათ მიღებულმა დადგენილებამაც ოსმალეთის მიერ სომეხთა წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის აღიარების თაობაზე. უკვე შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს ვიზალიბერალიზების პირობებს და, ალბათ, ანკარა, ივნისის ბოლომდე ვადაში ვერ ჩაეტევა. ევროპარლამენტში ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მიერ მოწონებული მიგრაციის ნაკადის „შემაკავებელი მექანიზმის" განხილვა მიმდინარეობს. ევროპელი დიპლომატების თქმით, გერმანიამ შეიძლება უარი თქვას საქართველოსა და განსაკუთრებით, უკრაინისათვის უვიზო რეჟიმის მიცემაზე, რადგან ამ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ჯერ კიდევ კონფლიქტი მიმდინარეობს, ყირიმი კი რუსეთს აქვს მიტაცებული.

თუ ევროკავშირი საქართველოს უპირატესობას მიანიჭებს და უკრაინას გვერდზე დატოვებს, მაშინ ასეთი მიდგომა ქვეყნის პროდასავლური პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს მდგომარეობას დაასუსტებს. თუ უვიზო რეჟიმი არც საქართველოს არ მიეცემა, მაშინ, შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების გათვალისწინებით, ასეთი სიტუაცია ოფიციალურ თბილისს ძალიან არასასიამოვნო ნეგატიურ შედეგს მოუტანს.

მოამზადა
თამარ ქართველიშვილმა.

◎ სტუმარ-მასპინძელი

სასტუმროების სიძვირით საქართველო რეგიონის ლიდერია

საქართველოში **მოქმედი სასტუმროების ფასი ისევ განხილვის საგანია. ცნობილია, რომ სამეზობლოში ყველაზე ძვირი მომსახურება თბილისსა და ბათუმშია.**

აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო აცხადებს, რომ თბილისში სასტუმროები გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე ბაქოში. უწყების ცნობით, მათ შეადარეს Booking.com-ზე არსებული ფასები და აღმოჩნდა, რომ 2-ვარსკვლავიან სასტუმროებში ფასები ბაქოში თბილისთან შედარებით 35%-ით ნაკლებია, 4-ვარსკვლავიანის — 44%-ით და 5-ვარსკვლავიანის — 59%-ით. კერძოდ, საშუალო ფასი ორსაწოლიან სტანდარტულ ნომერში, 2-ვარსკვლავიან სასტუმროში ბაქოში 70-90 დოლარია, თბილისში — 95-245 დოლარი; 4-ვარსკვლავიან სასტუმროში 2-საწოლიანი ნომრის ფასია ბაქოში 64-401 დოლარი, თბილისში —-218-728 დოლარი, 5-ვარსკვლავიანში ბაქოში 191-926 დოლარი, თბილისში კი 752-1253 დოლარი.

საქართველოში მოქმედი სასტუმროების სიძვირეზე მუდმივად საუბრობენ. რა ღირს დასვენება ჩვენთან და რამდენად ხელმისაწვდომია თბილისი საშუალო შემოსავლის მქონე ტურისტისთვის? ამ კითხვებს პასუხი სააგენტო „ნუმბეოს" ცოტა ხნის წინათ წარმოდგენილი „მოგზაურობის ღირებულების ინდექსმა" გასცა.

კვლევის მონაცემებით, ერთი დღის გატარება თბილისში საშუალო შემოსავლის მქონე მოგზაურს 67 დოლარი უჯდება, ხოლო საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონეს — 178 დოლარი.

„ნუმბეოს" კვლევის მიხედვით, თბილისში მაღალია სასტუმროების ფასი: სასტუმროების ფასის ინდექსით თბილისი საშუალოზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. კვლევის საბოლოო შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თბილისში ფასები ჩვენი რეგიონის ქალაქებს შორის ყველაზე მაღალია: ერევანში საშუალო შემოსავლის მქონე მოგზაურს ერთი დღის გატარება 34,32 დოლარი უჯდება, საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონეს კი — 96,30 დოლარი, ბაქოში — 30,83 დოლარი და 98,80 დოლარი, ხოლო სტამბულში, შესაბამისად, 37,73 და 107,95 დოლარი.

ტურიზმის სფეროს სპეციალისტები თვლიან, რომ საქართველოს დედაქალაქი ახლა, ფაქტობრივად, ტურიზმის ცენტრია და ჩამოსულ ვიზიტიორთა ლომის წილი სწორედ ტურისტებზე მოდის. დროთა განმავლობაში კი მაღალი ფასი, სავარაუდოდ, თავის როლს შეასრულებს ტურისტების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში.

სასტუმროების ბიზნესში არსებულ პრობლემებზე საუბრობს სასტუმრო „ორთაჭალა პალასის" მმართველი **ლერი მუჯირიშვილი:**

„ჩვენთან თურქეთიდან დამსვენებლები ხშირად ჩამოდიან, რამდენიმე მათგანი თვითონ საქმიანობს ამ ბიზნესში. იქ სასტუმროები მართლაც იაფია, არა მარტო სტამბულში, არამედ ანტალიაში და სხვა დიდ კურორტებზე. ქალაქის მერია ძალიან ეხმარება სასტუმროებს და ბევრ რამეს უფასოდ უკეთებს. ჩვენ კი, ყველაფერს დამოუკიდებლად ვაგვარებთ. თანაც ორმაგ ფასს ვიხდით კომუნალურ გადასახადებში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 1 კუბ/მ წყალში 4,50 ლარს ვიხდით. თვეში 2000 ლარს რომ წყალსა და ელექტროენერგიაში გადაიხდი, რა უნდა ქნა?"

ამ მოსაზრებას იზიარებს სასტუმრო „დ პლაზას" ადმინისტრაციული დირექტორი **ნინო ოსიტაშვილიც**. მისი თქმით, წინა წლებთან შედარებით, მათ სასტუმროში ტურისტების რაოდენობა შემცირებულია.

„ძალიან ბევრი ახალი სასტუმრო გაიხსნა, კონკურენცია გაიზარდა და ალბათ, ამის ბრალია, რომ კლიენტურა შეგვიმცირდა. რასაკვირველია, ამ მხრივ ჩვენ თურქეთს ვერ შევედრებით, რადგან ამ ქვეყნის შემოსავლების თითქმის 50 პროცენტი ტურიზმზე მოდის, ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკა იქ ჩვენგან განსხვავებულია: ყველანაირად უწყობენ ხელს ტურისტულ ობიექტებს, სასტუმროები ამ ქვეყანაში გრძელვადიანი, უპროცენტო სესხებით სარგებლობენ, როდესაც სასტუმრო ახალი გახსნილია, პროცენტს საერთოდ არ ახდევინებენ და სერიოზულ შელავათს უწევენ... ბუნებრივია, ამ პირობებში ტურიზმიც ვითარდება და ამ სფეროს შემოსავალიც ძალიან მაღალია", — აღნიშნავს ნინო ოსიტაშვილი.

ბექა დანელია

ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები საქართველოს ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხზე 10 ივნისს იმსჯელებენ

მინისტრთა **შეკრების დღის წესრიგი ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

ევროკავშირის საბჭოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ევროკომისია საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესების საკანონმდებლო ინიციატივით მიმდინარე წლის მარტში გამოვიდა.

ვინ ვის აწვება... ხელისუფლება – „ცრუსთავს“, თუ „ცრუსთავი“ – ხელისუფლებას?!

დუნიაზე ისეთი ქარიშხალი და ცუნამია აზვირთებული, რომ თუ ზემოდან არსთა გამრიგე დროულად არ ჩაერია, ამას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პერმანენტული შეშფოთება თუ ევროპის „სახალხო პარტიის“ პირმიშვებული კრიტიკაც ვეღარ უშველის, მალე დედამიწა გაჩერდება და თავისუფალი გამოხატვის საკაცობრიო მონაპოვარი აპოკალიფსის წინაშე აღმოჩნდება(!).

ამ ორი დღის წინათ, ჩემი კორპუსის ეზოში, უფრო სწორად, ქუჩაში (ბეტონში ჩასმულ თბილისში ეზოს სადღა იპოვით!), პოლიტიკაზე მოსაუბრე ხანდაზმულ მეზობელთა პაექრობას შევესწარი.

— ხალხო, თქვენ აქ ჩარბუზანა გაგიბავთ, სასამართლოში კი ისეთი დაკადაკაა, მოსამართლემ და რუსთავიორელბელმა ლამის ერთმანეთი დახოცონ, — აუწყა შეწუხებული სახით ქალბატონმა ანანომ თანაკორპუსელ პოლიტიკოსებს.

— ქალო, შენ კიდევ არ მოიშალე მაგ ტაკიმასხარა და ცრუქაქუნა „ცრუსთავის“ ყურება, არა? — დაუცაცხანა მეუღლეს მოპაექრეთაგან გამორჩეული ხმისა და რეიტინგის მქონე ჯემალმა.

— აბა რომელსღა ვუყურო? — აწუწუნდა ანანო, — სადაც კი ტელევიზორი გადავრთე, ყველგან მაგ თაღლითი „ცრუსთავის“ გაუთავებელი სასამართლო დავა და პროცესიდან გამოძევებული, პირაქაფებული ნიკა გვარამია შემეფეთა.

— გაგონილა, კაცო, ეს უკვე მერამდენედ გამოაძევეს? — შეიცხადა მხრებში გვარიანად მოხრილმა, ნახევრად მელოტმა ბერიკაცმა, — ამას ნამდვილად პოლიტიკური სუნი უდის!

— პოლიტიკური კი არა, ბალისტიკური არ გინდა? — შეუღრინა ჯემალმა, — მე რომ მოსამართლე ვიყო, მაგ თხაკიკინა გვარამიას პროცესიდან გავაძევებდი კი არა, ერთი 15 დღით საკანში ჩავაყუდებდი და მერე ვნახავდით, როგორ იკიკინებდა.

— ჯემალ, ძმაო, მართალია „ცრუსთავზე“ განაწყენებული ხარ და ამის საბაბიც გაქვს, მაგრამ გვარამიას ასე უპრაგონოდ დასჯა, დამეთანხმე, არ ივარგებს, — სცადა სიტუაციის განმუხტვა მაღალ-მაღალმა, ინტელიგენტურმა ვიტალიმ, — ბოლოს და ბოლოს სააკოვის დრო ხომ აღარ არის, ყველა ციხეში შეყარო და ცოცხებით გააყუჩო...

— აი, სწორედ სააკოვისეული ცოცხები მოუხდებოდა გვარამიასნაირ ცრუპენტელა მოლაყბეს. ეგ თუ მართლა თავისუფალი სიტყვისთვის მებრძოლი რაინდია, როგორადაც თავს გვასაღებს, ახლა რომ მთავრობას გადააჯდა, აგინებს, თათხავს, უსაქმურსა და არარაობას უწოდებს, რატომ მაშინ არ იღებდა ხმას, როცა მიშას საინფორმაციო საშუალებები თავის ყურმოჭრილ ყმადა ჰყავდა? აბა გაებედა და სიტყვა შეებრუნებინა, ნახავდა, საიდანაც გამოძვრა, იქავე რომ შეაძვრენდა.

— ჰო, მაგრამ, ჩვენ დღეს დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ და მიშას სტილით ცხოვრება აღარ გამოგვადგება. ხომ ხედავ, ამერიკის ელჩი საქართველოში როგორ ფხიზლადა დგას დემოკრატიის სადარაჯოზე, ერთთავად იმის ქადაგებაშია — ხელისუფლებავ, არ ჩაერიო სასამართლო პროცესში, „რუსთავი-2“-ის სარედაქციო პოლიტიკაში, თორემ საერთაშორისო არენაზე ქვეყნის რეიტინგი საგრძნობლად შეილახებაო.

— აკი არც ერევა, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ხშირად თავად ამერიკის ელჩი ერევა საქართველოს შინაურ საქმეებში, რაც მას არ ევალება და ცდილობს, სასამართლო და მედია ხელისუფლების მხრიდან ჩაგრულ სუბიექტებად წარმოაჩინოს. არადა, ჩვენ, ხალხი ხომ ვხედავთ, ყველაფერი პირიქითაა, ხელისუფლება კი არ აწვება „ცრუსთავს“, „ცრუსთავი“ აწვება მთავრობას — ჯოჯოხეთს მოგიწყობთ დედამიწაზეო, ემუქრება არხის გენდირექტორი გვარამია მთავრობას.

შეიძლებოდა, კიდევ გამეგრძელებინა არც თუ უინტერესო რეპორტაჟი ჩვენი კორპუსის „პოლიტიკური ეზოდან“, მაგრამ რაც ითქვა, იქიდანაც კარგად ჩანს, რას ფიქრობენ ჩვენი საზოგადოების უბრალო, რიგითი ადამიანები ქართულ სამართალზე, „ცრუსთაველთა“ ოინბაზობაზე, ამერიკის ელჩის „მიუკერძოებელ“ განცხადებებზე და სხვა უამრავ სადღეისო ტკივილზე. მართლაც აუტანელ ყოფაში ვართ, **იმის შიშით, რომ ეკრანიდან რაიმე დამაინტრიგებელი თემით ავსიტყვა ნიკა გვარამია არ გამოხტეს, ტელევიზორი ვეღარ ჩაგვირთავს. ყველა არხზე, ყველა საინფორმაციო თუ სათოქშოუ პროგრამაზე „რუსთავი-2“-ის ირგვლივ დატრიალებული „ტრაგედიის“ გამო, არა მარტო საქართველოში, მთელ დუნიაზე ისეთი ქარიშხალი და ცუნამია აზვირთებული, რომ თუ ზემოდან არსთა გამრიგე დროულად არ ჩაერია, ამას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პერმანენტული შეშფოთება თუ ევროპის „სახალხო პარტიის“ პირმიშვებული კრიტიკაც ვეღარ უშველის, მალე დედამიწა გაჩერდება და თავისუფალი გამოხატვის საკაცობრიო მონაპოვარი აპოკალიფსის წინაშე აღმოჩნდება(!).**

წავიდა ის დრო, როცა სააკაშვილის ნარჩენები და „რუსთავი-2“-ის ცრუქაქუნა გენდირექტორი ხელისუფლების სასამართლოზე ზეწოლის მოტივით ხალხის გაცუცურაკებას ცდილობდნენ. ახლა რომ ირწმუნებიან, ივანიშვილი და კვირიკაშვილი „ცრუსთავისთვის“ საკუთრების წართმევას და მისი სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას აპირებენო, ამას რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს. ამ მთავრობას შეიძლება ბევრი რამ უსაყვედურო, მაგრამ ყაჩაღობა და სხვათა საკუთრებაში ხელის ფათურს მაინც ვერ დააბრალებ.

არ გაგიკვირდეთ, ხალხო, ეს საფრთხე ჩემს მიერ კი არა, თავად ჩვენებური ნაცების და მათი იდეური რუპორის — „რუსთავი-2“-ის მიერ შეთხზული ზღაპარია. ჩემი შეხსენება ვის რაში სჭირდება, ხალხს როგორ დაავიწყდება, გენპროკურორის ყოფილი მოადგილე ნიკა გვარამია, ამჟამად თავისუფალი სიტყვის მებაირახტრედ რომ გაგვეჩითა, თავის დროზე ტელეეთერით როგორ დგამდა მოდელირებულ სპექტაკლებს, როგორ გვარწმუნებდა, ვინც ნაცების მხარეზე არ არის, ყველა რუსეთის აგენტი და სამშობლოს მოღალატეაო. ახლა ეს ნამუსნაღრძობი კაცი, რომ ადამიანის უფლებების დაცვასა და სიტყვის თავისუფლებაზე გველაპარაკება, განა სასაცილოდ არ გეჩვენებათ?

 დღეს თავისუფალი სიტყვისთვის წამებულ რუსთავიორელებს ვითომ ხელისუფლებისა რომ ეშინიათ — ტელეარხისთვის საკუთრების წართმევა და სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა უნდაო, რატომ იმას არ იხსენებენ, თავის დროზე სააკაშვილის ნაცგანდამ „იმედი“ როგორი სისასტიკით დაარბია, ან კიდევ, „იბერიაში“ რომ შეცვივდნენ, სროლა ატეხეს და მთელი ჰოლდინგი უბოდიშოდ წაართვეს პატრონს. მაშინ ჩვენ რატომღაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და იძაური ელჩის აღშფოთებული განცხადებები არ მოგვისმენია, ყველაფერი წყნარად და მშვიდად მიაჩუმათეს.

სამაგიეროდ, ახლა ყველამ ამოიდგა ენა, ჩვენებური სულგაყიდული ნაცების მიერ დაქირავებულ საზღვარგარეთელ ლობისტებს თანაგრძნობის ხმა შეაშველეს შინაურმა გამყიდველებმა, ეგრეთ წოდებულმა არასამთავრობოებად მონათლულმა „პროფესიონალმა“ იურისტებმა, ადამიანის უფლებადამცველებმა და ყველამ ერთად ორგანიზებულად შეუტიეს უნიათო თუ უსუსურად გამოცხადებულ „ქოცების“ ხელისუფლებას. რაღა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისუფალ სიტყვაზე მონადირე მთავრობის ლანძღვა-თათხვაში ტოლი არავის დაუდო ნიკა გვარამიამ, რომელმაც პრემიერ კვირიკაშვილს „არარაობა“ უწოდა, ხოლო მოსამართლე გუჯაბიძეს მიკერძოებასა და თაღლითობაში უმტკიცებულებოდ დასდო ბრალი და „რუსთავი-2“-ის საქმის განხილვიდან მისი ჩამოშორება მოითხოვა.

რა უპასუხა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტების შეკითხვას ნიკა გვარამიას მიერ გაკეთებულ შეფასებასთან დაკავშირებით, არ გაინტერესებთ? **კაცი რომ იყოს, პასუხს გავცემდი, მაგრამ რადგან არ არის, მეტს ვერაფერს გეტყვითო.**

სამაგიეროდ თავად გვარამიამ „მოიქარგა“ ენა: პრემიერი დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობებით არასოდეს გამოირჩეოდა, თავის დროზე ის გრეჩიხას „შნირი“ იყო, ახლა ივანიშვილის „შნირია“ და ორივე შემთხვევაში დანაშაულს სჩადისო. მას საპასუხო არაფერი აქვს და შეურაცხყოფაზე გადადის... მაინტერესებს, რა ინტერესი აქვს ჩემი მამაკაცურ საწყისებთან დაკავშირებით. შემიძლია პარამეტრების სიზუსტით ყველაფერი მოვახსენო, — განაცხადა განაწყენებულმა ნიკა გვარამიამ და ამით თავის უბადლო ვაჟკაცობაში „პარამეტრების სიზუსტით“ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა(!).

„ცრუსთავის“ გენდირექტორ გვარამიას, რომელსაც თავი მაღალპროფესიონალობით მოსწონს, უმარტივესი იურისპრუდენციული ჭეშმარიტება სხვებისგან არ უნდა ესწავლებოდეს, მას შეუძლია მიკერძოების ეჭვის მოტივით, ამა თუ იმ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლის აცილება მოითხოვოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას (მოსამართლეს) დაუმსახურებლად, მტკიცებულებების უქონლად, მთავრობისგან მოსყიდული, სისხლის სამართლის დამნაშავე და თაღლითი ეძახო და მას ზედ „შნირად“ მონათლული პრემიერიც მიაყოლო.

მე მგონი, **წავიდა ის დრო, როცა სააკაშვილის ნარჩენები და „რუსთავი-2“-ის ცრუქაქუნა გენდირექტორი ხელისუფლების სასამართლოზე ზეწოლის მოტივით ხალხის გაცუცურაკებას ცდილობენ. ახლა რომ ირწმუნებიან, ივანიშვილი და კვირიკაშვილი „ცრუსთავისთვის“ საკუთრების წართმევას და მისი სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას აპირებენო, ამას რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს. ამ მთავრობას შეიძლება ბევრი რამ უსაყვედურო, მაგრამ ყაჩაღობა და სხვათა საკუთრებაში ხელის ფათურს მაინც ვერ დააბრალებ.**

თუმცა, ჩემი აზრით (და არა მარტო ჩემი აზრით), არც ის არის მოსაწონი, როცა ხელისუფლება მთელი ოთხი წელიწადი თავის დემოკრატიულობით კეკლუცობს და ქვეყანაში ნაცისტური დანაშაულებრივი სისტემის განსჯასა და რეალური სამართლის დამკვიდრებას საშველს ვერ აყენებს. მას რომ ეს გაეკეთებინა, ახლა ვერც ქვეყნის მაოხარი ნაცები იტრაბახებდნენ ქოცების უქნარობა-უსუსურობით (ახია მათზე!) და ვერც ზოგი ჩემი კოლეგა გაბედავდა, ამ უღიმღამო დემოკრატიისთვის დემოტრაკია ეწოდებინა. რას ვიზამთ, ცოტა არ იყოს, უხერხული კია ამით სპეკულირება, მაგრამ თუკი ის რეალობასთან წილნაყარია?!

ოთარ ხუციშვილი

„არაფერი გამიორმაგებია... სახელფასო ფონდი, პრაქტიკულად, უცვლელია“

აუდიტის სამსახურის ანგარიშსს ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ეხმაურება და აცხადებს, რომ სახელფასო ფონდი უცვლელია, „არაფერი გამიორმაგებია, ზუსტად ვიცი. სახელფასო ფონდი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015 წლის საქმიანობის ანგარიშის თანახმად, 2015 წელს წინა წელთან შედარებით, პრემიის სახით გაცემული თანხების შემცირების პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა დანამატის სახით გაცემული რესურსის მოცულობა და საერთო ჯამში, 2015 წელს „პრემიისა“ და „დანამატის“ მუხლებით გაცემული თანხების ოდენობამ (14 133 000 ლარით) 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4.9%-ით გადააჭარბა.

მერიაში სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით სახელფასო დანამატები შემცირდა

სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით თბილისის მერიამ სახელფასო დანამატები 80%-დან 50%-მდე შეამცირა — აცხადებს მერი დავით ნარმანია აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული დასკვნის კომენტირებისას. მისი თქმით, თბილისის მერიაში რაიმე სახის ცვლილება დანამატის გაზრდასთან დაკავშირებით არ ყოფილა და პირიქით, შემცირდა — „მაგალითისთვის, თუ 80%-იანი დანამატები გაიცემოდა, ეს 50%-მდე იქნა შემცირებული სადღესასწაული დღეებთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით ჩვენთან სტაბილური მდგომარეობაა“, — განაცხადა ნარმანიამ.

მშენებლები გარეუბნებისკენ გადაინაცვლებენ

სპეციალისტები სამშენებლო პროცესის გარეუბნებში გადატანაზე ალაპარაკდნენ. ამის მიზეზი მერიის ინიციატივაა, რომელიც K2 კოეფიციენტის შეზღუდვას უკავშირდება. ამას შეიძლება უძრავი ქონების გაძვირებაც მოჰყვეს – თბილისის ცენტრში მშენებლობის შეზღუდული შესაძლებლობის გამო, ხოლო გარეუბნებში თავისუფალ მიწებზე მოთხოვნის გაჩენის გამოისობით. უძრავი ქონების ექსპერტი **შოთა გუჯაბიძე** მიიჩნევს, რომ მაღლივი კორპუსების მშენებლობამ შეიძლება, პერიფერიებისკენ გადაინაცვლოს, მაგრამ ზომიერების დაცვა იქაც საჭიროა.

„საერთოდ, K1 კოეფიციენტით განისაზღვრება შენობის ფუძის მოცულობა, მისი სიდიდე, ხოლო K2 კოეფიციენტი განსაზღვრავს შენობის საერთო მოცულობას. შესაბამისად, თუ მშენებელს K2 კოეფიციენტის მომატების უფლება ექნება, ის სართულებს დაამატებს და უფრო მაღალ შენობას ააგებს. რაც შეეხება K3 კოეფიციენტს, ის უკვე გამწვანების ფართობს განსაზღვრავს.

ქალაქის ცენტრში K2 კოეფიციენტის შეზღუდვა, ძირითადად, კორპუსების სიმაღლეზე აისახება. ამ რეგულაციით მივიღებთ იმას, რომ ქალაქის ცენტრი მაღალი შენობებით არ გადაიტვირთება და მისი იერსახე შენარჩუნდება. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ დედაქალაქის არქიტექტურულ მთლიანობაზე, მაღალი კორპუსების სიმრავლე იწვევს ეკოლოგიურ პრობლემებს, იჩრდილება ხედები, ბოლოს და ბოლოს, აღარ გვექნება სიტუაცია, როდესაც ერთი მეზობლის სარეცხი მეორის აივანს ფარავს“, – აცხადებს გუჯაბიძე.

მისი აზრით, დაუშვებელია ისტორიული ქალაქის ცენტრალურ უბნებში მაღალსართულიანი შენობები შენდებოდეს იმ ინტენსივობით, როგორც ჩვენთან შენდება. K2 კოეფიციენტის შეზღუდვა ცენტრალურ უბნებში მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ამ სფეროს სხვა რეგულაციებიც სჭირდება.

„ამ შეზღუდვით არავინ დაზარალდება გარდა კომპანიებისა, რომლებიც მახინჯი პროექტებით ცდილობდნენ მოგების მიღებას და 17-20-სართულიან შენობებს აგებდნენ ქალაქის ცენტრში. სამაგიეროდ, იხეირებს დედაქალაქი და მისი მოსახლეობა“, – აღნიშნავს შოთა გუჯაბიძე „ბიპიენთან“ საუბრისას.

ამავე დროს, K2 კოეფიციენტის შეზღუდვის გამო ქალაქის ცენტრში ფასები უფრო მოიმატებს, რადგან აქ მიწის ფართობი უფრო დეფიციტური და მოთხოვნადი გახდება.

სხვათა შორის, ექსპერტის აზრს ეთანხმებიან მშენებლებიც. ისინი ადასტურებენ, რომ დეველოპერთა უმეტესობას არჩევანის გაკეთება გარეუბნების სასარგებლოდ მოუწევს. როგორც „მენაშენეთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი **ირაკლი როსტომაშვილი** განმარტავს, ეს იქნება წინაპირობა, რომ გარეუბანი უფრო მეტად განვითარდეს და იქ ცხოვრება პრესტიჟული გახდეს.

„სამშენებლო სფეროში ახალი რეგულაციის შემოღება ძალიან კარგია და აქამდეც უნდა გაკეთებულიყო. თუმცა შეზღუდვა ცალსახად მაღალსართულიანი სახლების მშენებლობას არ უკავშირდება. კანონი კრძალავს ნებართვას მხოლოდ სართულის დაშენებაზე, ანუ მშენებელს არ შეეძლება მოითხოვოს იმაზე მეტი, რაც პროექტით არის გათვალისწინებული.

მისი ვარაუდით, შეიძლება, მოთხოვნა მეტროს მიმდებარე ტერიტორიებზეც გაჩნდეს. ამასთან, აითვისონ ყველა ის უბანი, სადაც კომუნისტურ პერიოდში მიტოვებული წარმოებებია და იქ მშენებლობის ბუმი გაჩნდეს.

ბექა დანელია

ხადური გვაიმედებს, რომ ევროპაში უვიზოდ ვივლით

ვიზალიბერალიზაციასთან **დაკავშირებით საქართველოს ყველა ნაკისრი ვალდებულება შესრულებული აქვს, – განუცხადა ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ვიზალიბერალიზაციის მიღების შესაძლო გაჭიანურებასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ. მისივე თქმით, ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და შს სამინისტროები. „დაველოდოთ პროცესების განვითარებას, საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ ივლიან ევროპაში“, – აღნიშნა ნოდარ ხადურმა.**

„ქართული ოცნებას“ ერთი თვის განმავლობაში 1 370 745 ლარი შესწირეს

სახელმწიფო **აუდიტის ფინანსური მონიტორინგის სამსახური პარტიების შემოწირულობის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. ინფორმაცია მაისის თვეს მოიცავს.**

შედეგების მიხედვით, „ქართული ოცნება“ ლიდერობს, პარტიას ერთი თვის განმავლობაში 1 370 745,00 შესწირეს, მეორე ადგილს პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერობს 266 407,72 ლარით, ხოლო მესამე ადგილს „ნაციონალური მოძრაობა“ 54 049,32 ლარით იკავებს.

პარტიების შემოწირულობების მონაცემები, რომელიც 2016 წლის 1 მაისიდან 31 მაისის მონაცემებს მოიცავს ასე გამოიყურება:

„მ.პ.გ. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 1 370 745,00

„პლატფორმა ახალი პოლიტიკური მოძრაობა-სახელმწიფო ხალხისთვის“ 266 407,72

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 113 064,50

პლატფორმა ახალი პოლიტიკური ცენტრისთვის 81 295,53

მ.პ.გ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 54 049,32

მ.პ.გ. „თავისუფალი დემოკრატები“ 28 000,00

ა.ა.ი.პ „გაერთიანება ბედნიერი საქართველოსთვის“ 26 732,00

მ.პ.გ. „ჩვენი სამშობლო“ 11 000,00

მ.პ.გ. „საქართველოს მშვიდობისათვის“ 2 360,00

პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ 2 065,00

საქართველოს რესპუბლიკური პარტია 1 060,00

პოლიტიკური გაერთიანება „მემარცხენე ალიანსი“ 1 000,00

საქართველოს „კონსერვატიული პარტი“ 120,00, – ნათქვამია მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციაში.

ჯამში პარტიებმა 1 957 899,07 ლარის ოდენობის შემოწირულობა მიიღეს.

სოფლების სია, სადაც 2016 წელს გაზიფიცირება მოხდება

2016 წელს 21 მუნიციპალიტეტის 60-ზე მეტი სოფლის გაზიფიცირება მოხდება. 8 000-მდე აბონენტის გაზიფიცირებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 მილიონი ლარი გამოიყოფა.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება შემდეგი მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირებისათვის:

ზესტაფონი: ბეღლევი, ბოსლევი (გაღმა ბოსლევი, გამოღმა ბოსლევი) და ქვედა საზანო;

გურჯაანი: კალაური და ვაჩნაძიანი;

ზუგდიდი: ცაიში და რიყე;

ახმეტა: ბაყილოვანი, საკობიანო, ყვარელწყალი, დედისფერული, ქორეთი, დუისი, წინუბანი, ჯოყოლო, ბირკიანი, ხორბალო, ზემო ხალაწანი, შუა ხალაწანი, ქვემო ხალაწანი, დუმასტური და ომალო;

კასპი: გომისჯვარი, ლავრისხევი და წინარეხი;

გარდაბანი: ფოლადაანთკარი;

წყალტუბო: ზედა მესხეთი და ქვედა მესხეთი;

დუშეთი: მჭადიჯვარი;

ჭართლი: ჭართლი, ბუჩაანთკარი, ვაშლობი, ზენუბანი, მენესო, მუგუდა, დოლასქედი, საქერე, სონდა, ჩიტაურები, ჭალისოფელი, ხამუშა და ჯუღისი;

ოზურგეთი: ქვედა ნასაკირალი და სოფლები: ნასაკირალი, ქვედა ბახვი, ციხისფერდი, შრომა და წვერმაღალა;

ლანჩხუთი: წყალწმინდა, ქვემო აკეთი და აცანა;

ჩოხატაური: ბუკისციხე, დაბლაციხე, შუა ამაღლება, ამაღლება და სამება;

ტყიბული: გელათი და მოწამეთა;

გორი: სკრა;

მცხეთა: მუხათგვერდი;

ბაღდათი: წითელხევი;

ლაგოდეხი: ბაისუბნი;

ხარაგაული: ლაშე და კიცხი;

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გაზიფიცირებისათვის საჭირო მკვებავი გაზსადენი;

ვანი: უხუთი;

მარტვილი: ვედიდკარი;

თეთრიწყარო: დაბა მანგლისი;

ადიგენი: აბასთუმნის გაზიფიცირებისთვის საჭირო მკვებავი გაზსადენი.

http://fortuna.ge

რამაზ საყვარელიძე: დღეს ყველაზე დიდი პრობლემა გაუნათლებელი მასწავლებლებისა და მოსწავლეების სიჭარბეა!

– თქვენი აზრით, რამ განაპირობა პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება განათლების მინისტრ თამარ სანიკიძის პოსტიდან გადაყენების შესახებ?

– ალბათ, სავარაუდოდ, მთავარი როლი შეასრულა იმან, რომ პრემიერ-მინისტრმა პრიორიტეტულ საკითხად განათლება მიიჩნია, რომელთან დაკავშირებული გეგმის განხორციელებისთვის სხვა ადამიანი იყო საჭირო. ეს პირველი საკადრო ცვლილებაა, რომელიც კონცეპტუალურ საფუძველზეა მიღებული და არა პარტიულ ან ინტერპერსონალურზე.

– წინ ეროვნული, მასწავლებელთა და სხვა ტიპის გამოცდებია, ასეთ დროს შედეგიანი იქნება სანიკიძის პოსტიდან გადაყენება?

– რაც შეეხება რისკებს, ის არსებობს. ერთ-ერთი რთული პერიოდი განათლების სამინისტროსთვის ზაფხულია. არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში პრემიერს შეიძლება რამდენიმე მინისტრთან გამომშვიდობება კიდევ მოუწიოს. არ არის გამორიცხული, რომ მინისტრების ცვლა კრიტიკულ ზღვრამდე მივიდეს, რაც ახალი მთავრობის დამტკიცებას გარდაუვალს გახდის. ეს არის რისკის შემცველი, მაგრამ, ალბათ, ამის შესახებ უკეთ იცის პრემიერ-მინისტრმა და რახან რისკავს, ესე იგი, განათლება მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წინასაარჩევნო პერიოდი!

– როგორი განათლების მინისტრი სჭირდება დღევანდელ საქართველოს?

– დღევანდელ საქართველოს განთლების მინისტრად ლუარსაბ თათქარიძე შეეფერება.

– განათლების ახალი მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა იქნება თუ არა ამ პოსტისთვის შესაფერისი ფიგურა?

– განათლების სისტემა ურთულესია, რადგან მთელ საქართველოზე ბადესავითაა გადაშლილი და ყველა ოჯახშია შესული უფრო ინტენსიურად, ვიდრე ჯანდაცვის სისტემა. ამ დროს კი ყველაზე დაბალანაზღაურებადი და ინერტულია. პოლიციის სისტემა შეიძლება ერთ კვირაში შეცვალო, როგორც სააკაშვილმა გაკეთა, მაგრამ განათლების სისტემაში ასე ვერ მოიქცევი!

პრობლემა იმდენია, ძნელია ოპტიმიზმი ვიქონიოთ, რომ ერთი მინისტრის მეორით შეცვლა რაღაც მნიშვნელოვანს შეცვლის. სანიკიძემ პრობლემების ნაწილი გადაჭრა, ჯეჯელავას სატელევიზიო გადაცემებიდან ვიცნობ, კარგი ალღო აქვს, ენერგიული და საქმიანი ჩანს და ვიქონიოთ იმედი, რომ პრობლემებს გადაჭრის. დღევანდელი განათლების უდიდესი პრობლემა გაუნათლებელი მასწავლებლებისა და მოსწავლეების სიჭარბეა და ეს უნდა შემცირდეს. ეს იქნება სასწრაფოდ გადასაჭრელი პრობლემა და თუ ამას შეძლებს, კარგია.

ესაუბრა
ია ჯღარკავა



დაუვიწყარის არდავიწყება

ქუთაისში, საფიჩხიაზე, საუკუნის წინანდელ დიდებულ, მაგრამ დღემდე დავიწყებულ ნაფუძარზე კულტურის ახალი, თანაც კეთილმოწყობილი კერა გაიხსნა

3 ივნისი განსაკუთრებული იყო ქუთაისის ერთ-ერთი უძველესი, მაგრამ არცთუ დიდი ხნის წინათ უპატრონოდ მიტოვებული და ყველასგან მივიწყებული საფიჩხიის უბნის ცხოვრებაში. რამპა აინთო კულტურის ახალ, უაღრესად ლამაზ ცენტრში. იქ, სადაც მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში, ძმები ხარაზიშვილების ბაღში, მათ მიერ თეატრისთვის სპეციალურად აგებულ შენობაში, სისტემატურად წარმოადგენდნენ საქართველოში ასაკით მეორე დრამატული დასის სპექტაკლებს.

ძველ ნაფუძარზე სცენური ცხოვრება „ნიღბების თეატრად“ წოდებულმა ახალგაზრდულმა დასმა „ბაკულას ღორების“ პრემიერით აღადგინა და არა მარტო სპექტაკლის დასასრულ, მისი მიმდინარეობის დროსაც მრავალჯერ დაიმსახურა მაყურებლის მოწონება და მქუხარე ტაში.

პირველი პრემიერის დაწყებამდე კულტურის ახალ ცენტრში სიტყვები წარმოსთქვეს ქუთაისის მერმა **შოთა მურღულიამ,** თეატრის დამფუძნებელმა და მხატვრულმა ხელმძღვანელმა **დავით ჯიშკარიანმა,** ქუთაისის საპატიო მოქალაქემ, ცნობილმა მრეწველმა და ქველმოქმედებით წარსულში სახელმოხვეჭილი საწარმოს — „ელექტრომექანიკური ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ, „ნიღბების თეატრის“ მეგობართა საზოგადოების“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **არჩილ მურღულიამ** და სხვებმა.

გამოითქვა ბევრი საყურადღებო აზრი ქალაქის აღმშენებლობის ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე, მათ შორის ხარაზიშვილების ბაღთან დაკავშირებით ფასადურ და მოჩვენებით ღონისძიებათა ნაცვლად საქმისადმი ბოლოდროინდელი სერიოზული დამოკიდებულების უაღრესად დიდ მნიშვნელობასა და ამის კონკრეტულ სასიკეთო შედეგზე — ქვაფენილითა და ულამაზესი ტროტუარებით დამშვენებულ იმ ორ კეთილმოწყობილ ქუჩაზე, რომლებიც კულტურის ცენტრის შემოგარენს სულ ახლახან შეემატა.

— სასურველია, რომ ამ ახალ კერას მიეკუთვნოს ქართული სცენის გამორჩეულად თვალსაჩინო მოღვაწისა და სასახელო შვილების დედის — **ეფრო კლდიაშვილის** სახელიო! — ითქვა ხაზგასმით..

ახალგაზრდულ, მაგრამ ქუთაისელი მოზარდი მაყურებლებისათვის უკვე ერთ-ერთ უსაყვარლეს თეატრსა და მის თავკაცს, ბატონ დავით ჯიშკარიანს მკვდრეთით აღდგენილი სცენის პირველ პრემიერად დავით კლდიაშვილის ნაწარმოები მხოლოდ იმიტომ არ შეურჩევიათ, რომ საზოგადოების მტკივნეულ პრობლემებს ტკივილიანი სიცილით ებრძოლოს... შეირჩა იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველოში მეორე პროფესიული თეატრის შექმნასა და აღორძინებაში აკაკი წერეთელთან და „სამშობლო ხევსურისას“ ავტორთან — რაფიელ ერისთავთან ერთად უაღრესად გამორჩეული წვლილი მიუძღვის დავით კლდიაშვილის უახლოეს ნათესავსა და მისთვის მშობელივით უსაყვარლეს ადამიანს, უნიჭიერეს თეატრალსა და ჭეშმარიტად მგზნებარე მამულიშვილების დედას ეფრო კლდიაშვილს..

ეს ის ეფრო კლდიაშვილია, რომელიც დიმიტრი ყიფიანის უახლოესი ნათესავიც გახლდათ და სამშობლოს რამდენიმე გამორჩეულად ღირსეული შვილი აღუზარდა, მათ შორის დედაუნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი, რომლის ძეგლი „ალმა მატერს“ ივანე ჯავახიშვილთან, პეტრე მელიქიშვილთან და ქართული უმაღლესი განათლების სხვა საამაყო კორიფეებთან ერთად ამშვენებს.

ქალბატონ ეფრო კლდიაშვილის შვილია ლეგენდარული საბაც, რომლის კაცთმოყვარეობამ და თავგანწირვამ მორალური უფლება მოგვცა, რომ ისრაელში სტუმრობისას წელგამართულებმა ვიაროთ წმინდა ქალაქის — იერუსალიმის იმ ქუჩაზე, რომელიც საბა კლდიაშვილის სახელს ატარებს.

1875 წლის 18 მაისს აკაკის მიერ ამ ღვთივკურთხეული ქალბატონისთვის გაგზავნილ წერილში, რომელიც „დროებაშია“ გამოქვეყნებული, ვკითხულობთ:.

„ათი წელია, თქვენი თავგანწირული და ყოველმხრივ უანგარო შრომა საზოგადოებრივ საქმეში სამაგალითოა და ჯერ მიუბაძავი“.

ახლა დავით კლდიაშვილსაც მივაპყროთ ყური!

„თბილისში ბინად ვიყავი ჩემს ნათესავთან, არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილთან. იქ იყო მოხუცი, დედისმაგვარი ბიცოლაჩემი ეფრო...

ბავშვობიდან მიყვარდა ბიცოლა ეფრო, მის მრავალ შვილს შორის მეც მქონდა სასიყვარულო ადგილი“.

— შემთხვევით არ ვიხსენებთ ამ მოკრძალებულ ამონარიდებს ეროვნული და საკაცობრიო საქმისათვის თავდადებული შვილების დედაზე, იმ დიდებულ პიროვნებაზე, რომელსაც სულმნათი აკაკი ყოველმხრივ უანგაროდ მშრომელს, საზოგადოებრივ საქმეში სამაგალითოსა და ჯერ მიუბაძავ ქალბატონს უწოდებს! — ვთქვი ეს და ხაზგასმით აღვნიშნე, რომ რადგან კულტურის ახალი კერის ოფიციალურ გახსნაში ქალაქის ხელმძღვანელები ქუთაისის თავკაცთან, ბატონ შოთა მურღულიასთან ერთად მონაწილეობენ, სასურველია, მათთან ერთად ვიფიქროთ იმაზე, რომ ამ **ცენტრს, დაუმკვიდრდეს „საზოგადოებრივ საქმეში სამაგალითო და ჯერ მიუბაძავი“ ქალბატონისა და „ლამაზად შვილების აღმზრდელი“ დედის — ეფრო კლდიაშვილის სახელი.** ეს მოსაზრება კიდევ უფრო განამტკიცა აუდიტორიისათვის იმის შეხსენებამ, რომ 1879-90 წლებში, ვიდრე ამ ადგილიდან ქალაქის ცენტრალურ ბაღთან გადაინაცვლებდა, მისი გამორჩეული თავქალობით სწორედ აქ მართავდა წარმოდგენებს ხნოვანებით საქართველოში მეორე პროფესიული თეატრი..

ალექსანდრე შენგელია,
„ს.რ.“ საკ. კორ.

სურათებზე: კულტურის ახალი ცენტრი და კადრები წარმოდგენიდან „ბაკულას ღორები“.

<u>რედაქციისაგან:</u>

ვფიქრობთ, ფრიად საყურადღებოა წინადადება, რომელსაც ქალაქის თავკაცებსა და საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას სთავაზობს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე ალექსანდრე შენგელია, რომელიც დღესაც ხარაზიშვილების ბაღის მეზობლად, საუკუნე-ნახევრის წინათ მისი მამა-პაპის მიერ აშენებულ სახლში ცხოვრობს.

...ამასთანავე, ძმები ხარაზიშვილების ბაღს ოდითგან ამავე სახელით იცნობდნენ და დღესაც ასე იცნობენ ქუთაისში. მართალია, საბჭოთა პერიოდში მას გაუაზრებლად მიაკუთვნეს 26 ბაქოელი კომისრის სახელი, მაგრამ ამით, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა: როგორც მაშინ, დღესაც ყველა კვლავ ძმები ხარაზიშვილების ბაღს ეძახის. ამიტომ, ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო, თუ ხალხის მიერ შერქმეული სახელი ამჯერად მაინც საბოლოოდ ოფიციალურად დაკანონდება!

ჯაშუშობაში ბრალდებულები გაანთავისუფლეს

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძის განცხადებით რუსულმა მხარემ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული საქართველოს კიდევ 3 მოქალაქე გაათავისუფლა. როგორც აბაშიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პრაღაში, ქართულ-რუსული დიალოგის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად განიხილება საკითხი, რომელიც ეხება საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლებას, რომლებიც რუსეთში იხდიან მრავალწლიან სასჯელს ჯაშუშობის ბრალდებით.

როგორც ზურა აბაშიძე ამბობს, გათავისუფლებული პირების სახელებსა და გვარებს არ ასახელებენ, ვინაიდან შესაძლოა, მათ არ სურდეთ ვინაობის გამჟღავნება. მისივე თქმით, ამ ეტაპზე ჯაშუშობის ბრალდებით რუსეთში საქართველოს რამდენიმე მოქალაქე დარჩა და ეს რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე გათავისუფლდნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აშშ ელჩს შეხვდა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა მინისტრის მიხეილ ჯანელიძის შეხვედრა საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან იან კელისთან. შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის 7-10 ივნისს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დაგეგმილი ვიზიტი ვაშინგტონში, აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში თანამშრომლობის მიმართულებები და სხვა საკითხები.

CNN TURKI-ის გადამღები ჯგუფი აჭარული სამზარეულოს შესახებ გადაცემას ამზადებს

აჭარული სამზარეულოსა და ტურისტული პოტენციალის შესახებ CNN Turki-ის გადამღები ჯგუფი თურქეთიდან სპეციალურ გადაცემას ამზადებს. გადამღები ჯგუფი რეგიონს სტუმრობს და მის ღირსშესანიშნაობებს ეცნობა. ჯგუფმა უკვე დაათვალიერა ბათუმის ღირსშესანიშნაობები, ბოტანიკური ბაღი, დელფინარიუმი, მაღალმთიანი აჭარა და მტირალას ეროვნული პარკი. გადაცემის ძირითადი სამიზნე კი აჭარული სამზარეულოა. CNN Turki-ს ობიექტივში ძირითადათ ტრადიციული აჭარული კერძები მოხვდა. კულინარიული გადაცემის ცნობილი წამყვანი, გურმანი და სომელიე მეჰმეტ იაშინი გადაცემის მსვლელობისას მისთვის ახალ და საინტერესო კერძებს აგემოვნებს და მაყურებელს მისი მომზადებისა და გემოს შესახებ ესაუბრება. აჭარული სამზარეულოს შესახებ მომზადებულ სპეციალურ გადაცემას CNN-ის მილიონობით მაყურებელი ივნისში იხილავს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ წარმოებული პიარ კამპანიების ფარგლებში ეს უკვე რიგით მესამე გადაცემაა „Моя планета“- სა და „Пятница“-ს გადამღები ჯგუფების შემდეგ.

ყაზარმა კეთილშობილ ასულთათვის

კეთილშობილ ქალიშვილთა აღმზრდელი საზოგადოება, აზნაურთა წოდების წარმომადგენელთათვის განკუთვნილი სასწავლებელი, ცნობილი სმოლნის ინსტიტუტი, სანკტ-პეტერბურგში 1764 წლის 5 მაისს, რუსეთის დედოფალ ეკატერინე II-ის უზენაესი ბრძანებით შეიქმნა.

თუმცა კი ერთ წელიწადში სმოლნში უფრო დაბალი წოდების ქალიშვილთა მიღებაც დაიწყეს, მისი კარი მხოლოდ ყმებისთვის იყო დაკეტილი.

სმოლნის კურსდამთავრებულნი მის კედლებს ზედმიწევნით განათლებულნი, საუცხოოდ აღზრდილნი, ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი და ოჯახური ცხოვრებისთვის ჩინებულად მომზადებულნი ტოვებდნენ, მაგრამ მისი აღსაზრდელების იქაური ყოფისა და სწავლის პირობების გაცნობის შემდეგ, თანამედროვე მშობლები თავიანთ პირმშოებს იქ ნამდვილად არ მიაბარებდნენ.

თქმა არ უნდა, სმოლნიში ნამდვილად უმაღლესი კლასის მომავლის ელიტას ზრდიდნენ, მაგრამ იქაური წესები გაცილებით მკაცრი იყო, ვიდრე რომელიმე თანამედროვე სამხედრო სასწავლებელში. წესები ეხებოდა აღზრდას, სწავლებასა და ლოცვას, ასევე მკაცრად იყო რეგლამენტირებული საკვები და სასწავლებლის ფორმა, სადღესასწაულო შეკრებები და მზრუნველებისადმი წასაყენებელ მოთხოვნათა ნუსხაც კი!

სმოლნიში 4-6 წლის ასაკის გოგონებს იღებდნენ, რომლებიც იქ გამუდმებით ცხოვრობნენ 16-18 წლის მიღწევამდე. არდადეგები გათვალისწინებული არ იყო, მშობლებს კი კეთილშობილი აღსაზრდელები მხოლოდ უქმე დღეებში, თანაც მკაცრად განსაზღვრულ საათებში ხვდებოდნენ.

სწავლების სრული კურსი 12 წელზე იყო გათვლილი, რომელიც ოთხ „ასაკად“ იყო დაყოფილი. პირველი „ასაკის“ გოგონებს **ღვთის კანონს, რუსულსა და რამდენიმე უცხო ენას, არითმეტიკას, ცეკვას, მუსიკასა და ხელსაქმეს** ასწავლიდნენ. მეორე „ასაკში“ გადასვლის შემდეგ აღნიშნულ საგნებს **ისტორია** და **გეოგრაფია** ემატებოდა, ჭეშმარიტად სერიოზული მეცნიერებათა ჯერი სწავლების მეშვიდე წელს, მესამე „ასაკში“ მოდიოდა. მათ შორის იყო **ზეპირსიტყვიერება, ლიტერატურა, ქანდაკება, არქიტექტურა, ჰერალდიკა და ფიზიკა.**

გაკვეთილები 7-დან 11-მდე და 12-დან 14 საათამდე ტარდებოდა. თანაც, გონებრივი მეცადინეობა აუცილებლად ფიზიკურ ვარჯიშსა და სუფთა ჰაერზე სეირნობას ენაცვლებოდა. გამოცდები სამ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა, ერთი „ასაკიდან“ მომდევნოში გადასვლისას.

სწავლის გარდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კვებას, გარეგნობას და, ცხადია, კეთილშობილ ასულთა ყოფაქცევას. მენიუ მეტად მორიდებული, თითქმის ასკეტური იყო — **ქალიშვილები იკვებებოდნენ ბოსტნეულითა და ხორცით, რასაც რძეს ან სუფთა წყალს აყოლებდნენ.**

ვისაც საბჭოთა კავშირის დროს მოუწია სწავლამ, კარგად ახსოვს, თუ როგორ ეჯავრებოდათ მაშინდელ მოსწავლეებს სკოლის ფორმა, სმოლნის აღსაზრდელებს კი, თავიანთივე მოგონებებით, თავიანთი სასწავლებლის ფორმა უყვარდათ! **ყველაზე პატარები ყავისფერ საფორმო კაბებს ატარებდნენ, მეორე „ასაკისანი“ — ცისფერს, მესამესი — ნაცრისფერს, ყველაზე უფროსები კი თეთრს.** სხვათა შორის, უფროსი ქალიშვილებისთვის კაბის ფასონი პირადად იმპერატრიცამ დაამუშავა. საგულისხმოა ისიც, რომ **ეკატერინე II-ის ხარჯით მოსწავლე ქალიშვილები მწვანე ფერის კაბებს იცვამდნენ, ის აღსაზრდელები კი, ვინც ქველმოქმედთა ხარჯით სწავლობდა, ვალდებულნი იყვნენ ყელზე იმ ფერის ბაფთა კეთებოდათ, რომელსაც მათი კეთილის მსურველი შეარჩევდა.**

არისტოკრატიულ „ყაზარმაში“ აღზრდის ყოველწლიური საფასური იმ დროისთვის მეტად სოლიდური თანხა, 300 რუბლი, ზოგჯერ კი მეტიც იყო, თუკი მოწაფე შეძლებული ოჯახის შვილი იყო.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საკლასო ქალბატონებისა და აღსაზრდელთა ურთიერთობას. სასწავლებელში არსებული სიმკაცრის მიუხედავად, მოწაფეთა ლანძღვა და, მით უმეტეს, ფიზიკური დასჯა, სასტიკად აკრძალული იყო.

ასკეტური აღზრდის მიუხედავად, სმოლნის კურსდამთავრებულები ჩინებულ განათლებას იღებდნენ, საზოგადოებაში მოქცევის წესების ცოდნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! განსაკუთრებით აღსანიშნავი მაინც ის არის, რომ **აღსაზრდელებს სმოლნის დამთავრების შემდეგაც არ ივიწყებდნენ: 12 საუკეთესო მოწაფე ოქროს მედლით ჯილდოვდებოდა, ეძლეოდა იმპერატორის ოქროს ვენზელი, მთელი ცხოვრების მანძილზე ენიშნებოდა პენსია და მისი უდიდებულესობის კარზე იყო გამწესებული! სმოლნის უქონელ გამოშვებულებს კი მზითვად 100 ათას რუბლს ატანდნენ.**

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ეს უნიკალური სასწავლებელი, ფაქტობრივად, მოსპო.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

დედამიწის ზურგზე

„ანაკონდა“ პოლონეთში

ისტორიაში ყველაზე მასშტაბური NATO-ს მანევრები სახელწოდებით „ანაკონდა“ პოლონეთში 7-17 ივნისს გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებს ალიანსის წევრი ქვეყნების ნახევარზე მეტის ეროვნული კონტინგენტის 31 ათასი ჯარისკაცი. პოლონეთის ტერიტორიაზე მსგავსი მანევრების ჩატარების მთელი ხნის მანძილზე, მათში 50 ათასმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა.

ტრაგედია თურქეთში

თურქეთში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში, ავტობუსი, რომელსაც მოსწავლეები გადაჰყავდა, სარწყავ არხში ჩავარდა, რის შედეგად 14 მოზარდი დაიღუპა. მომხდარის გარემოებები ჯერჯერობით უცნობია. ვიდეოდაკვირვების კამერების ჩანაწერების თანახმად, ავტობუსმა სატვირთო მანქანას გაუსწრო და გზაჯვარედინზე მსუბუქ ავტომანქანას შეეჯახა. მსხვერპლთა შორის არიან მოსწავლეები, რომლებიც, წარჩინებული სწავლის ჯილდოდ, ექსკურსიაზე იყვნენ მიწვეულნი.

ტერაქტი ყაზახეთში

გასულ კვირას, 5 ივნისს, ყაზახეთის ქალაქ აქტობეში, უცნობი პირები თავს დაესხნენ იარაღის ორ მაღაზიასა და სამხედრო ნაწილს. ორ დღეში სამართალდამცველებმა ცხრა ტერორისტი მოკლეს. შეტაკების შედეგად დაიღუპა ექვსი კაცი, ათი კი დაიჭრა.

მძლავრი პასუხის აუცილებლობა

რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის მაიკლ მაკფოლის განცხადებით, მოსკოვის აგრესიული მოქმედებები მძლავრ კონკრეტულ პასუხს საჭიროებს. მან აღიარა, რომ რუსეთის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებებმა მასზე „დიდი შთაბეჭდილება“ მოახდინა.

ლამაზმანი სამხედრო მოსამსახურე

ამერიკის შეერთებულ შტატებში 5 ივნისს ყოველწლიური კონკურსის „მის ამერიკას“ გამარჯვებული, კოლუმბიის ოლქის წარმომადგენელი, 26 წლის ოფიცერი დეშონა ბარბერი გახდა. მისი აზრით, კონკურსში მონაწილეობამ დაამსხვრია სტერეოტიპი ამერიკის ჯარში სამხედრო მოსამსახურე ქალების შესახებ.

კიდევ ერთი შენირული ჟურნალისტი

როცა ავღანეთში დაჯგუფება „თალიბანის“ მიერ გასროლილი ჭურვი ყველგანმავალ სამხედრო მანქანას მოხვდა, მასში რადიოსადგურ NPR-ის თანამშრომლები — ჟურნალისტი დევიდ ჰილკი, მისი მთარგმნელი, მძღოლი და სამხედო მოსამსახურე იმყოფებოდნენ.

აღკვეთილი ტერაქტები

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ საფრანგეთში, ევრო-2016-ის დროს დაგეგმილი 15 ტერაქტი აღკვეთა. „ბიბისის“ ინფორმაციით, უწყების ხელმძღვანელმა ვასილი გრიცაკმა განაცხადა, რომ უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა ქვეყნიდან იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების გატანა აღკვეთა. იარაღი და ასაფეთქებელი საფრანგეთის ტერიტორიაზე ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დროს ტერაქტების სერიის განსახორციელებლად იყო განკუთვნილი. გრიცაკის თქმით, დაკავებულია საფრანგეთის ერთი მოქალაქე, რომელმაც უკრაინაში შეიძინა და ქვეყნიდან იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერების დიდი რაოდენობით გატანას გეგმავდა. კერძოდ, უსაფრთხოების სამსახურის მონაცემებით, მან შეიძინა კალაშნიკოვის ტიპის ხუთი ავტომატი, ორი ყუმბარმტყორცნი, 125 კილოგრამი ტროტილი და 100 დეტონატორი.

საფრანგეთის მოქალაქე „იაგოდინის“ გამშვებ პუნქტზე ჯერ კიდევ 21 მაისს დააკავეს. ახლა ის დროებითი დაკავების იზოლატორში იმყოფება. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა ჟურნალისტებს უცხო ქვეყნის მოქალაქის დაკავებისა და ამოღებული იარაღის ვიდეოფირი წარუდგინა.

ბრიტანელი სპეცდანიშნულების ჯარი ოპოზიციონერების გვერდიგვერდ იბრძვის

გაზეთ „თაიმსის“ ცნობით, სპეცდანიშნულების საჯარისო შენაერთის ოპერაცია იმის პირველი მოწმობა გახდა, რომ ბრიტანელი სამხედროები არა მარტო იორდანიაში ამბოხებულებს წვრთნიან, არამედ სირიაში სახმელეთო საბრძოლო მოქმედებებშიც იღებენ მონაწილეობას. ამასთან, გაზეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რეგულარული ჯარისგან განსხვავებით, კონფლიქტების ზონებში სპეცდანიშნულების შენაერთების გადასაყვანად ბრიტანეთის პარლამენტის სანქცია საჭირო არ არის.

უცნობი გენერალისიმუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება

ვიორგი ეგნატაშვილის მოგონებები

(ჩაიწერა ვ.მ. ლოგინოვმა)

რამდენიმე ეპიზოდი სტალინის ცხოვრებიდან

თქვა, თეთრეული, საპონი და ნეჭა მაგიდაზე დაყარა და გავიდა. სოლოვოვი ვენტილებს ეცა, დაატრიალა და წყალი ონკანიდან ჩხრიალით რომ წამოვიდა, მაშინვე ეს გახარებულმა სტალინს მოახსენა, მაგრამ ის უკვე ტერასაზე სეირნობდა და დაბანა აღარც კი ახსოვდა, თუმცა, დანაშაულის გრძნობა იმ შეუსაბამო და სასაცილო ამბის გამო დავიწყებული არ ჰქონდა:

— უფროსო, როგორ ფიქრობთ, აი, ეს ბებერი ფიჭვი ქარიშხლის დროს ჩვენ ქოხს ხომ არ დაეცემა? — ეუბნება გადაკრულად სოლოვოვს.

— მაშინ, ყოველი შემთხვევისთვის, მოდი ცოტას წავახერხებ, — უპასუხებს სოლოვოვი.

— ჰო, მაგრამ, ეგ ხე ხომ მაინც გადმოსწვდება ჩვენს ქოხს:

— ნაწილ-ნაწილ დავხერხავთ. თოკით ჯერ ხის წვერს გამოვქაჩავთ, მერე შუა ნაწილს და მორჩა.

— სწორეა, ეგრე მოიქეცით.

სოლოვოვი მუშების მოსაყვანად წავიდა, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ სტალინი ეუბნება:

— უფროსო, ხის მოჭრა გადავიფიქრე. ეს ხე, ალბათ, ჩვენ შემდეგ კიდევ დიდხანს გაძლებს.

აი, ასე აღიარა სტალინმა თავისი ორივე შეცდომა და მაშინვე გამოასწორა.

* * *

პოლიტბიუროს თათბირის დაწყების წინ სტალინს გემრიელი საუზმეულით გაწყობილი სუფრა უყვარდა. დაუძახა ახლაც სოლოვოვს და სთხოვა, ჟრუნი ეშოვა, ტუკოვი და სოლოვოვი ერთად წავიდნენ პლეშჩევოს ტბაზე სადაც შეშინებული ფრინველი თვითონ ჯდებოდა სამიზნეზე. მალე იმათ ვასილი სტალინიც შეუერთდათ და ფრონტიდან კანანადასა და მათსავე აზარტულ ხმაურში კარგად ბლომად ნანადირევი ფრინველი მოაგროვეს. სტალინმა დათვლა დაიწყო, თან პოლიტბიუროს თითოეულ წევრს ითვალისწინებდა: ეს ჟრუნი იმას, ეს ამას... ხრუშჩოვამდე რომ მივიდა, ამოიოხრა — აი, ამას ორიც არ ეყოფაო...

* * *

და ბოლოს: სტალინის სიკვდილის შემდეგ სტაროსტინმა მის მაგიდაზე მისი შემნახველი სალაროს წიგნაკი ნახა — წიგნაკში მხოლოდ ორმოცდაათი მანეთი აღმოჩნდა — ეს იყო ბელადის მთელი სიმდიდრე... სალაროს ეს წიგნაკი სტაროსტინმა სვეტლანას გადასცა.

გიორგი ეგნატაშვილის მოგონებები

ვ.მ. ლოგინოვის წინასიტყვაობა

მთელი ათი წელი ჩემი მეგობრის სიმამრს — ლავრენტი ივანოვიჩ პოგრებნის ჯიუტად ვუტრიალებდი, ვთხოვდი, მოეყოლა, გაეზიარებინა ჩემთვის თავისი მოგონებები. საქმე ისაა, რომ ოცდაათ-ორმოცდაათიან

წლებში მას სტალინის ერთ-ერთი თანამებრძოლის — ნიკოლაი მიხაილოვიჩ შვერნიკის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა. მაგრამ ლავრენტი ივანოვიჩი ყოველგვარ ინტერვიუზე მუდამ მტკიცე უარით მისტუმრებდა. და აი, ხელში ჩამივარდა როი მედვედევის მასალა, სადაც სტალინის დედის შესახებ არის ლაპარაკი. იმ მასალის წაკითხვის შემდეგ რაღაც თარიღი მინდოდა, დამეზუსტებინა, რისთვისაც ლავრენტი ივანოვიჩს დავურეკე, მაგრამ მისმა პასუხმა ძალიან გამაოცა. აი, რა მიპასუხა მან:

— არ ვიცი, რას წერს მანდ როი მედვედევი, მაგრამ შემიძლია გაგაცნოთ სტალინის ძალიან ახლო მეგობარი, ვისაც შეუძლია როიზე ასჯერ მეტი მოგიყვეთ.

— რაო, რა თქვით-მეთქი?! — ვკითხე აღელვებულმა... აი, ასე გაჩნდა ჩემს მწერლურ და ჟურნალისტურ კარიერაში შანსი, რომლის ხელიდან გაშვება სიკვდილს უდრიდა... „ფორტუნა ასე როდი უღიმის ყველა ლიტერატორს!“ — გავიფიქრე მაშინ გაოგნებულმა.

— ზოგმა ქართველმა ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე დაიჯერა ანატოლი რიბაკოვის მიერ თავის რომან „არბატის შვილებში“ გამოთქმული ვერსია — სტალინის ნამდვილი მამა იაკობ გიორგის-ძე ეგნატაშვილი იყოო, სტალინის დედა — ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი მას საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა, ულაგებდა და თეთრეულს ურეცხავდაო. მაშინ იაკობ გიორგის ძე ეგნატაშვილს შვილებიც ჰყავდნენ და შვილიშვილებიც, მისი ერთი შვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე, მეტსახელად ბიჭიკო ჩემი ძველი მეგობარი გახლდათ. როცა მე შვერნიკთან ვმუშაობდი, მაშინ ის შვერნიკის დაცვის უფროსი იყო.

— მერედა გამაცნობთ?

— დიახ. ოღონდ იმ პირობით, რომ არ შეეხებით იმის ოჯახურ საიდუმლოს. შემოიფარგლებით იმ მოგონებებით, რასაც ის თავისი პაპის — იაკობ გიორგის ძისა და სტალინის შესახებ გაიხსენებს. ამ ბოლო წლებში ჯანმრთელობა ძალიან შეერყა და ეშინია, იმ ჭუჭყის, იმ სიბინძურის თავიდან განცდა არ მოუწიოს, რაც იმ ადამიანს დაატყდა თავს, ვისაც ის ყოველთვის აღმერთებდა და აღმერთებს.

— რამდენი წლისაა?

— ბევრის.

— მაინც?

— მე თქვენ გაგაფრთხილეთ, — თქვა ლავრენტი ივანოვიჩმა ძალიან ცივად და მკაცრად, — სათქმელს, ისე როგორც ჩვენი მასწავლებელი და ბელადი, მხოლოდ ერთხელ ვამბობთ.

ლავრენტი ივანოვიჩს მივეცი მწერლური სიტყვა, ვუთხარი, რომ იმ იდუმალებით მოცულ ბიჭიკოს უდიდესი ადამიანური ტაქტით მოვექცეოდი.

სახლში, რომელიც კოტელნიკოვის სანაპიროზეა

ჩემი პირველი შეხვედრა გიორგი ალექსანდრეს-ძე ეგნატაშვილთან ზუსტად იმ სახლში, იმ ციხესიმაგრეში შედგა, რომელზეც უამრავი ცნობილი ადამიანის მემუარული დაფაა. როცა მის ოთახში შევედი და დავინახე მოხუცი, ვისთვისაც შეგეძლო სამოცდაათიდან ას წლამდე მიგეცა, შევხედე მის ფართო მკერდსა და არწივივით ცხვირს, იმ ხანდაზმული ადამიანის ხაზგასმულმა საკუთარი ღირსების გრძნობამ ჩემთვის ნათელი გახადა, რომ თავის დროზე ის ძლიერი, მტკიცე ნებისყოფის მამაკაცი იყო. ამან წინა დღეს ჩემი მეგობრის მიერ ნათქვამი სიტყვები გამახსენა: „არ გეგონოს, იქ ვიღაც დაუძლურებულ მოხუცს ნახავ, კარს თუ მიიკეტავს, ისე ჩაიხურება,. როგორც კარადა. ეს კია, ამ ბოლო დროს ძალიან მოიხარა“... გიორგი ალექსანდრეს ძე მარცხენა თვალს სულ ახამხამებდა და ეცრემლებოდა, რის გამოც ოფთალმოლოგიურ ცენტრში ოპერაციის გაკეთებას აპირებდა და სწორედ ამის გამო იყო თბილისიდან მოსკოვში ჩამოსმული. ღია ფერის ფართო პიჯაკის ლაცკანზე სტალინის გამოსახულებიანი პატარა წითელი ვარსკვლავი უბრწყინავდა.

— ეს ნიშანი პოლიტბიუროს წევრებისა და საპატიო სტუმრებისთვის სტალინის საიუბილეოდ შეიქმნა, მაშინ, როცა ის სამოცდაათი წლისა გახდა — გიორგი ალექსანდრეს ძემ ხმაჩახლეჩითა და გამოკვეთილი ქართული აქცენტით ჩემი ცნობისმოყვარეობა რომ დააკმაყოფილა, თითქოს სტალინის ხმა ჩამესმაო, უცებ მოულოდნელობისაგან შევკრთი (შემდეგში, როცა მოხუცი ერთ-ერთ თავის ქალიშვილთან იური ტიმოფეევიჩის მიერ აღწერილ სხვა სახლში გადაგვყავდა, ჩვენმა მძღოლმა — ვალენტინ მიხაილოვიჩ შურკოვმა თავი ვერ შეიკავა და გიორგი ალექსანდრეს ძემ მანქანის კარი მიკეტა თუ არა, — ეს ხომ ზუსტად სტალინის ხმააო! — წამოიძახა).

პოგრებნის ბინაში რომ მივედით, ყველანი მრგვალ მაგიდას შემოვუსხედით. დავლიეთ თითო სირჩა კონიაკი. ჩამოვარდა სიჩუმე. იმპერიის ძველი ჯარისკაცები — ეგნატაშვილი და პოგრებნი თითქოს იცდიან, თითქოს აკვირდებიან, თითქოს აფასებენ, რა ვითარებაა — ბოლოს, მომიბრუნდა გიორგი ალექსანდრეს ძე და მეუბნება:

— მე თქვენ სულ არ გიცნობთ. მწერლებთან და ჟურნალისტებთან არასოდეს არ მისაუბრია. მაგრამ ის, რაც მწერლებმა და ჟურნალისტებმა სტალინის მიმართ ახლა ჩაიდინეს, იმის საშუალებას არ მაძლევს, მშვიდად მოვკვდე, ამიტომაც გადავწყვიტე, ყველაფერი მოგიყვეთ, რაც მინახავს და რაც მისი მახლობელი ადამიანებისგან მსმენია. მინდა ობიექტური, მართალი ადამიანი ვიყო, ოღონდ გაფრთხილებთ — სტალინი ჩემთვის ღმერთია, ასე იყო და ასე იქნება ბოლომდე. ბედნიერი ვარ, რომ მის გვერდით ვიყავი, დაე, თუნდაც მტვრის ის ნაწილაკი, რაც მისთვის იოტისოდენადაც არაფერს ნიშნავდა. ის ჩემი ცხოვრების ფასდაუდებელი განძია და მისი გახსენება ჩემთვის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე წმიდათაწმიდაა... თუ თქვენ კაცურ სიტყვას მომცემთ, რომ არაფრით შეურაცხყოფთ, არც საუბრით, არც ქაღალდზე დაწერილით, ვილაპარაკებ, მოგიყვებით ყველაფერს, რაც ვიცი და თქვენც ზუსტად ჩაიწერეთ, — თქვა და მისმა ორმა თვალმა სკამზე ეგრევე მიმაჯაჭვა. სიცოცხლეში მსგავსი ფიცი არასოდეს არავისთვის მიმიცია, მაგრამ, რახან ასე უნდოდა და ბერიკაცს, მე მას კაცური სიტყვა მივეცი. მან შვებით ამოისუნთქა, სირჩა აიღო და ცოტა მოსვა. ლავრენტი ივანოვიჩს უცებ სახე გაუნათდა, გაიბადრა:

— მიდი, ბიჭიკო, მიდი, მოყევი, თორემ ველარ მუშაობს ჩვენი ტვინი ძველებურად, — თქვა და გადაეხვია თავის ძველ მეგობარს, — ჩვენ ხომ აგერ უკვე ორმოცდაათ წელიწადზე მეტია, მეგობრები ვართ!...

— დიახ... ჩვენ —მე და ლავრენტი — თქვენ მოსვლამდე ზუსტად ტელევიზორს ვუყურებდით. იქ ვიღაც ჟურნალისტი ქალი დიდის ამბით აცხადებს, 1991 წელს პუტჩისტებზე გამარჯვება არანაკლებ გრანდიოზულია, ვიდრე დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებაო. გაბრაზებულმა ტელევიზორიც კი გამოვრთეთ. განა შეიძლება ქალი ასე გათახსირდე, ასეთი სისულელეები როშო... რა ვქნა, რა სისულელეები როშა იმ ვიგინდარამ! მათხოვრების ქვეყნად გვაქციეს, უბედური ლაქიების ქვეყნად!... ამ განუკითხაობას ამ უკიდურეს დამცირებასა და მონურ ყოფაში, მერწმუნეთ, სიცოცხლე აღარ მინდა... რა დაემართა ამ ხალხს, ასე რამ გადააგვარა... ეჰ, სტალინი რომ ცოცხალი იყოს... შეწუხებული ამბობდა ბერიკაცი.

— ამ ბოლო დროს თითქოს ისე აქტიურად აღარ წერენ. იქნებ თქვენთან გაჩნდა საქართველოში რაიმე საინტერესო პუბლიკაციები?

— ჩვენთან კიდევ უფრო ცოტაა ობიექტური მასალა. ისე, კაცმა რომ თქვას, იქ არცთუ ისე ბევრს ვკითხულობ — ახლა საქართველოში ისეთი რამ ხდება, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. არ მეგონა, ქართველებს ასეთი რამ თუ შეეძლოთ... სხვა ეროვნების ადამიანების მიმართ უხსოვარი დროიდან ჩვენ ყოველთვის შემწყნარებლები ვიყავით...

— რა თქმა უნდა, სტალინი არასოდეს დაუშვებდა ამ ძმათამკვლელობას, ვინ-ვინ და იოსებ ბესარიონის ძემ ბრწყინვალედ იცოდა ყველაზე განსხვავებული ეროვნებათა ადამიანების ფსიქოლოგია. გავიხსენოთ თუნდაც ორმოცდაერთი წელი, ფაშისტების შემოჭრისთანავე ეკლესიების გახსნის ბრძანება რომ გასცა, ხოლო რეპროდუქტორებიდან სიმღერა —„სახალხო წმინდათაწმინდა ომი“ მთელ ქვეყანას მოედო.

1941 წლის დეკემბრის ბოლოსა და 1942 წლის დასაწყისში ინგლისში ვიყავი. სწორედ ამ დროს სტალინმა მოსკოვში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელი მიიღო, ვერ წარმოიდგენთ, როგორი იყო ინგლისელების რეაქცია ამ ამბის გამო. სიტყვით ამის გადმოცემა ძალიან ძნელია. უკვირდათ, სტალინი უცებ პატრიარქს ღებულობსო?! თუ საბჭოთა კავშირს ინგლისში ვინმე უნდობლად ეკიდებოდა, თუ ვინმეს საბჭოთა კავშირისა არა სჯეროდა, დაიჯერა და მისკენ შემოტრიალდა. დიახ, ეს უნდა გაკეთებულიყო... ყველაფერი გამოყენებული უნდა ყოფილიყო! ავიღოთ თუნდაც მოსკოვის ზოოპარკიდან სპილოს ევაკუაცია. წარმოიდგენდი ამას როდისმე? ასეთ მძიმე დღეებში, როცა მთელი ქვეყანა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, კიდევ ერთი თვე, თუნდაც ერთი კვირა მაინც გაუძლებდა თუ არა მტრის შემოსევას, სტალინი გადასარჩენად სპილოს უსაფრთხო ადგილას აგზავნის. ზუსტად ამავე დღეებში თავს უყრის ავტოკონსტრუქტორებს და მათთან ერთად განიხილავს ახალი, კომფორტული მსუბუქი მანქანის კონსტრუქციის პროექტს. ესე იგი, სახელმწიფო მზად არის, ყველაფერს გაუძლოს და გაიმარჯვოს!... ინგლისელების რეაქცია პატრიარქის მიღებაზე, სპილოს ევაკუაცია, კონსტრუქტორების შეხვედრა — ეს ყველაფერი თქვენმა სიტყვებმა გამახსენა. შეიძლება გძულდეს ადამიანი ყველაზე დიდი, ყველაზე დიდებული, მაგრამ არ შეიძლება არ იყო ობიექტური!

(გაგრძელება იძნება)

დასაწყისი იხ. № 65-79, 83, 86-87, 90, 95, 99

◎ ფეხბურთი

წითელი თუ შავი?

წითელი პარასკევი მთელი საქრისტიანოსთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ ქართველებს აწი შავი პარასკევიც აღარ დაგვავიწყდება.

დიახ, სწორედ ასე შეგვიძლია შევაფასოთ 3 ივნისს ევროპის რამდენიმე სხვდასხვა წერტილში განვითარებული სპორტული მოვლენები, რომლებმაც ქართველი გულშემატკივრები მთლად ნოკაუტში თუ არა, ღრმა ნოკდაუნში ჩააგდო.

გენიალური სტენდალის უკვდავი ქმნილების სათაურზე უსაგნო მსჯელობას, მოდით, აქ დავუსვათ წერტილი და პირდაპირ სათქმელზე გადავიდეთ.

ეროვნული ნაკრების აწმყო, მის საჭესთან ვლადიმერ ვაისის მოწვევის შემდეგ, კიდევ უფრო გაბუნდოვანდა. ამის დასტურია ბუქარესტში გამართულ ამხანაგურ მატჩში განცდილი ფიასკო 1:5, სადაც გუნდის თავმა ამისულაშვილმა ასევე ყოფილი კაპიტნის კალაძის ყბადაღებული ანტირეკორდი გაიმეორა და საკუთარ კარში ერთბაშად 2(!) ავტოგოლი გაიტანა. რა თქმა უნდა, ეს „ჯვაროსანთა“ ვაითამაშის მხოლოდ ერთი შტრიხია, საერთო სურათი კი მართლაც რომ სამარცხვინოა – XXI საუკუნეში ძნელია ასეთ ნაცოდვილარს ფეხბურთი უწოდო. და ეს მაშინ, როცა სლოვაკი თავკაცის წინამორბედის კახი ცხადაძის გაწვრთნილმა „კაირატმა“ ყაზახეთის ჩემპიონატში ზედიზედ მერვე (!) მატჩი მოიგო.

დამაფიქრებელია ქართული ფეხბურთის უახლოესი რეზერვის – ახალგაზრდული ნაკრების ბედიც, რომელიც თანატოლთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ექვსგუნდიან ჯგუფში მეოთხე ადგილზეა. გია გეგუჩაძის შეგირდები ამჯერად შვედეთში დამარცხდნენ – 2:3.

ამ ფონზე ძნელია დაძრახო ჩვენი ქვეყნის ქალთა ნაკრები (დიახ, ასეთიც არსებობს), რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში წაბორძიკდა – 0:4.

დღეს 22 საათსა და 45 წუთზე საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი მორიგ საინფარქტე რეპორტაჟს გვთავაზობს მადრიდის „ხეტაფეს“ სტადიონიდან: ესპანეთი – საქართველო.

გიორგი ზოთაძე

◎ ცურვა

ბოლქვაძის B ნორმატივი

თბილისელმა ირაკლი ბოლქვაძემ წარმატებით იასპარეზა მონაკოში გამართულ მოცურავეთა პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში. 200 მეტრი ბრასით მან 2 წუთსა და 15,82 წამში დაფარა და რიოს ოლიმპიადის სალიცენზიო B ნორმატივი (2.16,27) შეასრულა. საგულისხმოა ისიც, რომ ირაკლიმ წინასწარი გაცურვისას ლონდონის სამხრეთაფრიკელ ოლიმპიურ ჩემპიონ კამერონ ვან დერ ბურგზე (2.18,06; მსოფლიოს ჩემპიონატების ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მფლობელი) უკეთესი შედეგი აჩვენა. ფინალში პირველი იყო გერმანელი მსოფლიოს ჩემპიონი მარკო კოხი (2.09,45). ბოლქვაძემ 2.17,56-ით მე-6 ადგილი დაიკავა.

ლექსო ცინცაძე

◎ ნიჩბოსნობა

ორ ასაკში

სეოკ-ის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ორგანიზაციის ინიციატივით ბაზალეთის ტბაზე კაიაკითა (ბაიდარა) და კანოეთი მცხეთელი და დუშელი ნიჩბოსნები ორ ასაკში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შეჯიბრების მონაწილეები ნავებითა და ინვენტარით დუშეთის სანიჩბოსნო სკოლამ უზრუნველყო. კანოეთი მხოლოდ უმცროსი ასაკის სპორტსმენებმა იასპარეზეს. ერთადგილიანი ნავებით 200 მეტრზე დუშელმა გიორგი ბედოშვილმა გაიმარჯვა. მეორე-მესამე ადგილებზე ნიკოლოზ ხატიაშვილი (მცხეთა) და გია გვრიტიშვილი (დუშეთი) გავიდნენ. ორადგილიანი ნავებით მხოლოდ ორმა დუეტმა სცადა ძალა: 1. გიორგი ბედოშვილი, გია გვრიტიშვილი (დუშეთი), 2. ნიკოლოზ ხატიაშვილი, ჯონი ციხისელი (მცხეთა).

კაიაკით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **200 მ. უფროსები. ერთადგილიანები.** 1. გიორგი ოგბაიძე, 2. გიორგი მარტოლეკი (მცხეთა), 3. ემზარ ირემაშვილი (დუშეთი). **ორადგილიანები.** 1. გიორგი ოგბაიძე, გიორგი მარტოლეკი (მცხეთა), 2. ემზარ ირემაშვილი, ლევან სოსელია (მცხეთა). **უმცროსები. ერთადგილიანები.** 1. ჯუბა ჩხუტიაშვილი, 2. გიორგი ყარსიმაშვილი (ორივე-დუშეთი), 3. დავით დოღონაძე (მცხეთა). **ორადგილიანები.** 1. დავით დოღონაძე, სანდრო ბერიკაშვილი (მცხეთა), 2. შალვა დავითური, ნიკოლოზ ჩოხელი (დუშეთი).

თამაზ პატარიძე

სურათზე: გიორგი ოგბაიძე (წინა პლანზე) და გიორგი მარტოლეკი.

◎ ლეგენდის დასასრული

ასეთები არ კვდებიან



სპორტული სამყარო გლოვობს... ჯერ ხეირიანად არ გადაგვიხარშავს რამდენიმე თვის წინათ დაღუპული იოჰან კრუიფის დაკარგვით მოყენებული დანაკლისი, რომ უკვე მუჰამედ ალის ვეთხოვებით. სწორუპოვარი მოკრივე 74 წლისა პარკინსონის დაავადებამ შეიწირა.

კასიუს კლეიმ შთამბეჭდავი კარიერა ოლიმპიური ოქროს მოპოვებით დაიწყო, ხოლო პროფესიულ რინგზე გადანაცვლების შემდეგ მთელ მაშინდელ ელიტას რისხვად მოევლინა. ბრძოლის განსაკუთრებულმა სტილმა მას ტიტულებიც მრავლად მოუტანა, მაგრამ არანაკლები შარავანდედი პოლიტიკურ პროცესებში აქტიური ჩართვით დაიდგა, რაც ვიეტნამის ომში პროტესტის ნიშნად წაუსვლელობაში გამოიხატა.

ასეთი დიდოსტატები არ კვდებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მშვილდოსნობა

კანდიდატები შეარჩიეს

18-23 ივლისს ბუქარესტი ახალგაზრდა მშვილდოსანთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ ტურნირისთვის შესარჩევი შეჯიბრება გლდანში ოლიმპიური რეზერვის ეროვნული ცენტრის ბაზაზე გაიმართა. ორ ასაკში მოზარდთა საქართველოს პირველობაში 30 სპორტსმენი მონაწილეობდა.

განსაკუთრებით საინტერესო უფროსი ასაკის ვაჟთა პაექრობა იყო, სადაც ეროვნული ნაკრების ორი წევრი გამოდიოდა. პირველი-მეორე ადგილები სწორედ მათ გაიყვეს: ზურაბ მესტვირიშვილისა და ვლადიმერ დოლიძის ფინალურ ორთაბრძოლაში გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი ისრის გასროლა გახდა საჭირო. ეს ისარიც ორივემ 8-იანში გაარტყა, თუმცა, უფრო ცენტრისკენ მესტვირიშვილისა იყო და ჩემპიონობაც მას დარჩა – 6:5. ორივე სპორტსმენი 12-19 ივნისს ანტალიაში მსოფლიოს თასის მესამე ეტაპზე გამოვა, რომელიც რიოს თამაშების ბოლო სალიცენზიო შეჯიბრებაა. საქართველოს პირველობაზე

ბრინჯაოს მედალი აკაკი ლეკვეიშვილს (სამივე-თბილისი) ხვდა. გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ციკო ფუტკარაძე (ხელვაჩაური), 2. მარიკა მახარაძე (ბათუმი), 3. ლინდა დავითაძე (ხელვაჩაური).

უმცროსი ასაკი. გოგონები. 1. მარინა ჩუმაჩენკო, 2. ვერიკო მაკიევა (ორივე – თბილისი), 3. ნინო ევგენიძე (ბათუმი). **ბიჭები.** 1. საბა გათენაძე, 2. ნოდარ გათენაძე (ორივე – ხელვაჩაური), 3. ნიკა თავდგირიძე (ბათუმი).

შეჯიბრების დასრულების შემდეგ საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ხათუნა ნარიმანიძემ ჩუმაჩენკოს ახალი ინვენტარი გადასცა. ორივე ასაკში ნაკრების კანდიდატები შეკრებას გაივლიან, მერე მათ შორის საკონტროლო შეხვედრები გაიმართება და 3-3 საუკეთესო კონტინენტის პირველობაზე იასპარეზებს.

ლევან მშვილდაძე

სურათზე: საქართველოს პირველობის მედალოსნები და ფედერაციის პრეზიდენტი ხათუნა ნარიმანიძე.

◎ წყალბურთი

მეტოქეები ცნობილია

ერთი თვის წინათ თბილისის „ოლიმპიკის“ აუზში 19-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართა. ფინალური ეტაპის ორ საგზურისთვის ერთმანეთს ხუთი ქვეყნის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. ქართველმა წყალბურთელებმა ჯერ ფრანგებს აჯობეს (13:4), შემდეგ – სლოვაკებს (13:5), ბელარუსებს (15:4), ფინელებს (23:4) და სლოვაკებთან ერთად ფინალური რაუნდის საგზური მოიპოვეს. გასულ უქმეებზე გადამწყვეტი ეტაპის (11-18 სექტემბერი, ჰოლანდია) წილისყრა მოეწყო. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები B ჯგუფში ხორვატებს, რუსებსა და აზერბაიჯანელებს დაუპირისპირდება.

A **ჯგუფი.** სერბეთი, იტალია, გერმანია, თურქეთი,
B **ჯგუფი.** ხორვატეთი, რუსეთი, საქართველო, აზერბაიჯანი,
C **ჯგუფი.** ესპანეთი, ჰოლანდია, რუმინეთი, სლოვაკეთი,
D **ჯგუფი.** საბერძნეთი, უნგრეთი, ჩერნოგორია, მალტა.

გივი გაგუა



სიახლეები C ჰეპატიტით დაავადებულთა მკურნალობაში

10 ივნისიდან C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვა C ჰეპატიტით დაავადებულ ნებისმიერ პირს შეეძლება, მიუხედავად მისი დაავადების კლინიკური მდგომარეობისა. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა და საზოგადოებას C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებული სხვა სიახლეებიც გააცნო.

„10 ივნისიდან აღარ იარსებებს ყველაზე მძიმე კლინიკური მდგომარეობის კრიტერიუმი და ნებისმიერ პაციენტს, მიუხედავად თავისი დაავადების ფაზისა ან სიმძიმისა, შეეძლება ჩაერთოს ამ პროექტში ყოველგვარი შეფერხების გარეშე. ასევე, თუ აქამდე პაციენტს განაცხადის შეტანიდან მკურნალობის დაწყებამდე სჭირდებოდა საშუალოდ ორი თვე, ჩვენ ამ პროცესს ვამცირებთ და ეს გახდება დაახლოებით ორი კვირის ფარგლებში. კიდევ ერთი პოზიტიური სიახლე არის ის, რომ თუ კი არსებული კონტრაქტი ითვალისწინებდა პირველ ეტაპზე მხოლოდ 5 000 ყველაზე მძიმე მდგომარეობის მქონე პაციენტის მკურნალობას და შემდგომში წელიწადში 20 000 პაციენტის მკურნალობას, ეს პროცესი უკვე შეიცვალა, ხუთიათას მეერთე პაციენტმა ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში მიიღო მკურნალობა, დღეის მდგომარეობით 9 000-ზე მეტი პაციენტია ჩართული, ანუ, რეალურად, მეორე ფაზა უკვე ნოემბერში დაიწყო, თუმცა მთავარი ცვლილებები, რაზეც მოგახსენეთ, პაციენტების მაქსიმალურ რაოდენობას მისცემს საშუალებას ჩაერთოს ამ პროცესში“, — განაცხადა დავით სერგეენკომ და აღნიშნა, რომ ეს ცვლილებები პროექტის მართვის წარმატებამ, შარშან ჩატარებულმა კვლევამ და სერვის-ცენტრების დამატებამ განაპირობა.

— ერთ-ერთი ახალი სერვის-ცენტრი 10 ივნისიდან შევა ფუნქციონირებაში, ფალიაშვილის 110 ნომერში და იმ პაციენტებს, რომლებიც აქამდე არ იყვნენ ჩართული ამ პროგრამაში, შეუძლიათ მივიდნენ აღნიშნულ მისამართზე და ჩაერთონ მკურნალობის პროცესში. სიახლეა ისიც, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთში, სადაც, სამწუხაროდ, საშუალო ციფრზე სამჯერ მაღალია ჰეპატიტის მაჩვენებელი, დავიწყებთ ახალი მძლავრი სერვის-ცენტრის მშენებლობას და სულ მალე პაციენტებს გაზრდილი რესურსებით ექნებათ ეფექტური და სწრაფი მკურნალობის მიღების საშუალება. ასევე, გაიზარდა გადამზადებული ოჯახის ექიმების რაოდენობა და აღარ არის საჭირო, რომ მხოლოდ ინფექციური დაავადებების სპეციალისტებმა განახორციელონ მკურნალობა“, — აღნიშნა სერგეენკომ.

◎ ძუჩა მოულოდნელობებით არის სავსე!

გზებზე გახშირებული ავარიებისა და დაღუპულთა რაოდენობის ზრდის ფონზე, მოქალაქეები საპატრულო პოლიციას პრევენციის ზომების გააქტიურებისკენ მოუწოდებენ. მოწოდებები განსაკუთრებით აქტიურად ფიქსირდება სოციალური ქსელების საშუალებით, სადაც მომხმარებლები ყოველდღიურად დებენ დარღვევების ამსახველ ფოტო და ვიდეომასალებს. თუმცა ამას არავითარი შედეგი არ მოსდევს — ხშირ შემთხვევებში საპატრულო პოლიცია „თვალის დახუჭვის“ პოლიტიკას აგრძელებს.

ამაში დარწმუნებისთვის საკმარისია თბილისის ქუჩებში, საპატრულო პოლიციის მანქანის სიახლოვეს იმოძრაოთ. მცირე ხანში რამდენიმე შემთხვევა მაინც დაფიქსირდება, როდესაც მაგალითად, პატრული არანაირ რეაგირებას არ ახდენს წითელზე ქვეითის გადასვლაზე, ან ავტომობილის მიერ საშიში მანევრის განხორციელებაზე.

ასეთი „ექსპერიმენტის“ მოწმე თითოეული თბილისელი ყოველდღე ხდება. მათი ნაწილი აღშფოთებას სოციალური ქსელების საშუალებით გამოხატავს, არიან ისეთებიც, რომლებიც საპატრულო პოლიციაში რეკავენ და კანონდარღვევაზე რეაგირებას ითხოვენ. თუმცა რამდენად ახდენს შსს რეაგირებას ამგვარ ზარებზე, უცნობია: თუკი მსგავსი ზარიდან რამდენიმე დღეში გადარეკავთ 112-ზე და ჰკითხავთ, დაჯარიმეს თუ არა მძღოლი, რომელმაც თქვენს ან სხვა მოქალაქის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა, პასუხს ვერ მიიღებთ. შესაბამისად, ადამიანს, რომელსაც მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა აქვს, საპატრულო პოლიციასთან თანამშრომლობის მექანიზმი უბრალოდ არ გააჩნია.

რამდენიმე დღის წინათ, პეკინის ქუჩაზე, ბახტრიონის ქუჩის გადასახვევთან ფეხით მოსიარულეს ავტომობილი დაეჯახა. შემთხვევიდან რამდენიმე წუთში იგივე ადგილას, რომელიც ქალაქში ავტომობილებით ერთ-ერთი ყველაზე გადატვირთულია, ისევ გამოჩნდნენ ფეხით მოსიარულეები. ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ მათ ხელშეუხებლობის განცდა აქვთ და მსგავს კანონდარღვევას საპატრულო მანქანის დასანახადაც მშვიდად სჩადიან.

რა არის საპატრულო პოლიციის ამგვარი მიდგომის მიზეზი, უცნობი და გაუგებარია იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფომ ცალსახად განაცხადა გზებზე უსაფრთხოების გაძლიერების აუცილებლობის შესახებ.

„კომერსანტი“ საგზაო უსაფრთხოების თემაზე წლებია, წერს და მუდმივად მოუწოდებს შესაბამის უწყებებს უფრო მკაცრი და აქტიური რეაგირებისკენ. თუმცა ამ წლების განმავლობაში მდგომარეობა გამოსწორების ნაცვლად უარესდება.

ამ ტენდენციას სტატისტიკაც ასახავს, რომლის მიხედვითაც ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა იზრდება. მხოლოდ 2016 წელს 3 თვის განმავლობაში 102-ით მეტი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში. დაშავდა 106-ით მეტი ადამიანი, მათ შორის 49-ით მეტი ქვეითი. მხოლოდ წლევანდელი წლის პირველ სამ თვეში ავარიების შედეგად 143 ადამიანი დაიღუპა, 2000-მდე ადამიანი კი დაშავდა.

პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ წამოსწია ბიზნესმენმა თამაზ ელიზბარაშვილმა, რომელმაც შინაგან საქმეთა მინისტრს უსწრაფესი რეაგირებისკენ მოუწოდა.

„დავრეკე 112-ში და მოვითხოვე პასუხი გაეცათ ჩემ მიერ თვეების განმავლობაში მათთვის მიწოდებული ინფორმაციებიდან რომელზე და როგორი რეაგირება მოახდინეს. მიპასუხეს, რომ არ იცოდნენ მოყვა თუ არა რეაგირება ჩემ მიერ „მკვლელ მძღოლებად“ დანახული ადამიანების ქმედებებს და საპატრულო პოლიციაში გადამამისამართეს. საპატრულო პოლიციაში კი გასაოცარი პასუხი გამცეს — ასე შეიძლება ნებისმიერმა დარეკოს და თუ მტკიცებულება არ გვექნება, დაჯარიმებასაც ვერ შევძლებთო. გამოდის, სწრაფად მოსიარულე, „მკვლელ მძღოლებს“ ყველანაირი ხელშეწყობა აქვთ შსს-სგან, საპატრულო პოლიციისგან, რომ დღისით, მზისით, ღამით ხოცონ ჩვენი შვილები, მეულლეები, მშობლები და თავიანთი თავებიც გაიუბედურონ?!“, — წერს ბიზნესმენი.

რატომ „ჩაეძინა“ საპატრულო პოლიციას?

დაუსჯელობის სინდრომი თბილისის გზებზე

გაურკვეველია, რატომ არ ახდენს პატრული რეაგირებას 112-დან მიღებულ დარღვევების უკვე გამზადებულ ფაქტებზე, მაშინ, როცა ამ დარღვევების აღმოჩენა თავად პატრულის ვალდებულებაა.

შესაბამისად, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა არა მოქალაქეს, არამედ საპატრულო პოლიციას ეკისრება, რომელიც ვალდებულია, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, თავად აღკვეთოს მსგავსი ფაქტები, რომლებიც თავად საპატრულო ეკიპაჟების თანდასწრებით ხდება.

გზებზე არსებულ პრობლემას თავად ხელისუფლებაც აღიარებს. როგორც ცოტა ხნის წინათ, შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა განაცხადა, საქართველოში ავტოსაგზაოშემთხვევების შედეგად, წელიწადში საშუალოდ 600-მდე ადამიანი იღუპება და ამ მაჩვენებლებით, ევროპაში ერთ-ერთ მოწინავე რიგებში ვართ. მისივე ინფორმაციით, ამ მხრივ საქართველოზე უკეთეს მდგომარეობაში არიან სომხეთი და რუსეთიც.

ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას, პარლამენტში უკვე რამდენიმე კვირაა შეჩერებულია კანონპროექტი, რომელიც საგზაო უსაფრთხოების ამაღლებას შეუწყობდა ხელს. ამ მიმართულებით სიტუაციის გამოსასწორებლად მთავრობამ საკანონმდებლო ცვლილებები შეიმუშავა, რომელიც გულისხმებოდა მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას, ასევე მართვის მოწმობებზე ქულათა სისტემის დაწესებას. თუმცა, მთავრობამ ვერც ეს გადაწყვეტილება მიიღო და ცვლილებების დანერგვა გადადო.

კომერსანტი

ხსოვნა

თამაზ კვარაცხელია

აფხაზეთის დევნილ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი გამოაკლდა — მოულოდნელად გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ფინანსთა მინისტრი **თამაზ კვარაცხელია**.

ბატონი თამაზი მოსამსახურე ინტელიგენტთა იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომელთაც თავიანთი შრომით კარიერა რიგითი მუშის პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისებით დაიწყეს. ქ. სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა, 17 წლის გამოუცდელმა ყმაწვილმა მუშაობა დაიწყო ქ. სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არქიტექტურის განყოფილებასთან არსებულ გეოდეზისტთა ჯგუფში მუშად, შემდეგ — სოხუმის №1 სახლმმართველობაში ზეინკალ-ელექტრიკოსად.

1979 წელს თამაზ კვარაცხელია სწავლას აგრძელებს ქ. სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და პარალელურად მუშაობს ქ. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში. 1986 წლიდან, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, თამაზ კვარაცხელია ინიშნება აფხაზეთის საგეგმო კომიტეტის ეკონომისტად, შემდეგ მთავარ ეკონომისტად და განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1992 წლიდან თამაზ კვარაცხელია აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებშია. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს განყოფილების უფროსად, სამმართველოს უფროსად, აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს სააგენტოს უფროსად, შესყიდვების დეპარტამენტის უფროსად. დევნილობის წლებში დაამთავრა მან ქ. თბილისის საფინანსო-იურიდიული აკადემია.

2009 წლიდან, ვიდრე 2013 წლამდე თამაზ კვარაცხელია აფხაზეთის ფინანსთა მინისტრია.

პროფესიონალიზმი და საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, ადამიანებთან ურთიერთობის, კომუნიკაციის განსაკუთრებული ნიჭი იყო მისი, როგორც კეთილსინდისიერი, ერთგული და თავმდაბალი სახელმწიფო მოხელის წარმატების საწინდარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

დაკავებულია ნარკორეალიზატორი

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1989 წელს დაბადებული ონურ ო. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, 64 აბი და 5 აბის ნატეხები ამოიღეს, რომელიც 3,69555 გრ მდმ-ს (3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს) შეიცავს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ონურ ო.-მ ნარკოტიკული საშუალება რამდენიმე პიროვნებას მიჰყიდა, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემული.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

თაღლითობა „აიპლუსში“

თბილისში მდებარე „აიპლუსის“ ყველა მაღაზია დაკეტილია. გავრცელებული ინფორმაციით, „აიპლუსში“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შევიდა. სავარაუდოდ, საქმე ეხება მეორადი ტელეფონების ახალ ტელეფონებად გასაღების ფაქტებს. ოფიციალური განცხადება უწყებაში ჯერ არ გაკეთებულა.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 599 797679

განცხადება

2016 **წლის** 28 ივლისს, 14 საათზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ №49) გაიმართება ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდ. სამყურისწყალზე „სამყურისწყალი 2 ჰესების კასკადის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მდ. სამყურისწყალზე, დერივაციული ტიპის, არა რეგულირებადი (წყალსაცავის გარეშე) ჰესების კასკადის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. №49;**
- **შპს „ფერის“ ოფისში — ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. №8.**

შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27. ელ. ფოსტა: j.akhvlediani@gamma.ge

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ფერის“ ადმინისტრაცია

◎ საქართველო ღვინის სამშობლოა

უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ტორონტოს უნივერსიტეტის ერთობლივმა საერთაშორისო ექსპედიციამ კვლევის შედეგად ქვემო ქართლში აღმოაჩინა ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებული უძველესი ყურძნის წიპწები. კომპლექსური კვლევის შედეგად დგინდება, რომ ველური ვაზი ადამიანმა პირველად საქართველოს ტერიტორიაზე მოაშინაურა და კულტურული ვაზისგან ღვინო დაწურა. კერამიკული ჭურჭლის ანაფხეკებში აღმოჩენილია კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები, რაც ამ ჭურჭელში ღვინის არსებობას ადასტურებს.

სამუშაოების შედეგად გამოვლენილია საცხოვრებელი ნაგებობები, სხვადასხვა შრომის იარაღები, ჭურჭელი, სამეურნეო ორმოები და სხვა. აღმოჩენილი მასალის დამუშავება და პალეო-ბოტანიკური კვლევა კიდევ უფრო ნათელ სურათს შექმნის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი მეღვინეობა-მევენახეობის კულტურის შესახებ.

აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითური ხანის ძეგლების არქეოლოგიური კვლევით დგინდება, რომ ამ პერიოდში საზოგადოება გადადის ცხოვრების ახალ ეტაპზე. იწყება მიწათმოქმედების აღმავლობა და ცხოველების მოშინაურების პროცესი.

2014 წლიდან საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარეობს ღვინის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ასოციაცია **„ქართული ღვინოს“** ერთობლივი საერთაშორისო პროექტი **„ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“**, რომელიც ხელს შეუწყობს მსოფლიოში ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის განვითარებას და პოპულარიზაციას. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს საველე-არქეოლოგიური გათხრები ნეოლითური ხანის ნასოფლარზე - გადაჭრილ გორაზე და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ისტორიული ეპოქების ვაზის ნაშთების ინტერდისციპლინარული კვლევა.

ქართველ მეცნიერებთან ერთად პროექტში მონაწილეობენ პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპელიეს აგრარული კვლევის ინსტიტუტის მკვლევარები. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **დავით ლორთქიფანიძე**. პროექტის მენეჯერია ლევან დავითაშვილი, პროექტის კორდინატორი — **დავით მაღრაძე**. ექსპედიციის ხელმძღვანელია ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების მთავარი კურატორი **მინდია ჯალაბაძე**.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი სამანიშვილმა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და ასოციაცია „ქართული ღვინო“ წარმომადგენლებმა მოინახულეს ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებული არქეოლოგიური აღმოჩენები ქვემო ქართლში (სოფ. იმირი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

უნგრეთიდან დეპორტირებულის საქმეს პროკურატურა შეისწავლის

მთავარმა პროკურატურამ გაიზიარა ადამიანის უფლებათა ცენტრის მოწოდება და მოქალაქე რუსუდან ფურცხვანიძის საქმე გამოსაძიებლად ქალაქ თბილისის პროკურატურას გადასცა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ცნობით, ორგანიზაციამ 16 მაისს გავრცელებულ საჯარო მიმართვაში გააპროტესტა საგამოძიებო ორგანოების პრაქტიკა, როდესაც საქმე გამოსაძიებლად გადაეცემა ორგანოს, რომელსაც ამ საქმისადმი შესაძლოა, ჰქონდეს მიკერძოებული დამოკიდებულება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სამართლებრივ დახმარებას უწევს მოქალაქე რუსუდან ფურცხვანიძეს, რომელიც არის თაღლითობის მსხვერპლი. საქმე შესაძლოა, ეხებოდეს საბერძნეთის საელჩოში არაკონონიერად გაცემულ ვიზას, რის გამოც ფურცხვანიძის დეპორტაცია მოხდა უნგრეთიდან საქართველოში.

ვიზისა და სხვა სამგზავრო დოკუმენტების დამზადებასა და საზღვარგარეთ გამგზავრებას რუსუდან ფურცხვანიძეს დაპირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული სამმართველოს განყოფილების ყოფილი თანამშრომელი ზ.ნ., რომელმაც საზღაურად მიიღო 5000 ევრო. დეპორტაციის შემდეგ რუსუდან ფურცხვანიძემ ამ თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა. 2016 წლის 15 აპრილს კი საჩივრით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რომელმაც დაზარალებულის საჩივარი გადააგზავნა ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში. ქუთაისის რაიონულმა პროკურატურამ კი საქმე მოკვლევისთვის დააწერა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ განყოფილებას, სადაც თავის დროზე ზ.ნ. მუშაობდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა მთავარი პროკურატურისგან მოითხოვა, აღმოფხვრილიყო ეს პრობლემა — გადაეხედა პრაქტიკისათვის და ეხელმძღვანელა ობიექტური გამოძიების პრინციპებიდან გამომდინარე, ხოლო კონკრეტულად რუსუდან ფურცხვანიძის საქმე, ობიექტური და სრულყოფილი გამოძიების მიზნით, ტერიტორიული ქვემდებარეობის გათვალისწინებით, გამოსაძიებლად გადაგზავნილიყო ქალაქ თბილისის პროკურატურაში .

ადამიანის უფლებათა ცენტრის ძალისხმევის შედეგად, საქმე გამოსაძიებლად ქუთაისიდან გადაეგზავნა თბილისის რაიონულ პროკურატურას. დღეის მდგომარეობით, რუსუდან ფურცხვანიძის მიმართ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ პუნქტით. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

გაიხსნა დანაშაულის პრევენციის ცენტრის ახალი ოფისი

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ახალი ოფისი გახსნა. უწყების ინფორმაციით, წერეთლის გამზირზე მდებარე შენობა ცენტრის საჭიროებების გათვალისწინებით სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, რის შედეგადაც ასევე იქნა გამყარებული შესაბამისი საცხოვრებელი კორპუსი. იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი უწყების ახალი ოფისი, უშუალოდ თანამშრომლების სამუშაოს სპეციფიკურობის გარდა, „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამის“ ბენეფიციარებზეა მორგებული. პროგრამა განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიზნით ხორციელდება და მასში ყოფილი პატიმრები, მათ შორის არასრულწლოვნები, არიან ჩართულნი. „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ ბენეფიციარებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობს.

„ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამა“ 2012 წლის ბოლოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით შეიქმნა.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

აფრიკაში მოგზაურობიდან დაბრუნებულს ეკითხებიან:

— განა თქვენი მეგობრის კაციჭამიებისგან დახსნა არ შეიძლებოდა?

— სამწუხაროდ არა. როცა ჩვენ მის გასათავისუფლებლად მივედით, იგი მენიუდან უკვე ამოშლილი იყო!

* * *

— **ხომ** არ იცით, ბატონო, ეს საფრთხობელა ვინ არის?

— ეს, ბატონო, ჩემი ცოლია!

— ოჰ, უკაცრავად, ეს რა სისულელე მომივიდა!..

— თქვენ კი არა, თავის დროზე, სისულელე მე მომივიდა!..

* * *

— **ჩემო** კარგო, საქმრომ იცის შენი ასაკი?

— ნაწილობრივ.

* * *

ორი შოტლანდიელი ერთმანეთს რკინიგზის სადგურში ხვდება:

— საით გაგიწევია, ჯონ?

— ლონდონში მივდივარ, საქორწინო მოგზაურობაში.

— კი, მაგრამ შენი ცოლი სადაა?

— ჩემი ცოლი ლონდონში უკვე ნამყოფია!...

* * *

პარიზში იყავი, ხომ? როგორ მოგეწონა, ხომ დიდებული ქალაქია?

— მეც და ჩემი მეუღლეც აღრფთოვანებული ვართ, განსაკუთრებით კი სასტუმროს ნომერი მოგვეწონა.

— თავად ქალაქზე რას იტყვი?

— ბევრს ვერაფერს, რადგან სასტუმროს ნომერი იმდენად ძვირი იყო, წუთით გამოსვლაც გვენანებოდა.

* * *

— **თქვენ** ცოლს განდიდების მანია სჭირს... ოჯახში მსგავსი სხვა შემთხვევა თუ ყოფილა ოდესმე? — ეკითხება ფსიქიატრი შეწუხებულ ქმარს.

— დიახ, ექიმო, ამ სენით საწყალი მამაჩემი იყო შეპყრობილი. ის საწყალი ყველას ეუბნებოდა, რომ ოჯახის უფროსია...

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართი:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.142; ევრო - 2.386;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.087;
100 რუბლი - 3.199; თურქული ლირა - 0.726;
აზერბაიჯანული მანათი - 1.442;
1000 სომხური დრამი - 5.475

ამინდი 7 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +12,	დღე +26
მთიანი რაიონები -	ღამე +6,	დღე +22
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +24
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +21
თბილისი:	ღამე +15,	დღე +25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE